დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა

წევრები:

დავით ჩივაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ეკატერინე მიქაუტაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტირი;
სოფიკო სიუკაევა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნონა ბეროშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
თემური კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო მახარაშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236688786

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა
იურიდიული მისამართი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა
ფაქტობრივი მისამართი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა
საფოსტო ინდექსი	3400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**არ აქვს**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gorelovka3mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 18 71 74

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება N MES 9 23 0000577479 22/05/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26-27 ივნისი 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;			
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლაში განხორციელდა საავტორიზიო ვიზიტი 2023 წლის 26-27 ივნისს. სკოლა მდებარეობს საზღვრისპირა ტერიტორიაზე, სადაც გარდა ამ სკოლისა არის 2 საჯარო სკოლა (სომხურენოვანი და რუსულენოვანი).
ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა დარღვევები პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტში. პირველ სტანდარტში 11 ხარვეზი, მესამეში 7ხარვეზი, მეოთხეში 1 ხარვეზი. ექპერტების მიერ გაცემული იყო განმავითარებელი რჩევები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----70 --------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* სკოლის არ აქვს შესაბამისი რაოდენობის სასკოლო ინვენტარი (მოსწავლის მერხი, სკამი)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში მოაწყოს სამედიცინო კაბინეტი;*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში შეათანხმოს შესაბამის უწყებასთან დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში მოიპოვის დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში მოიპოვის დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიწერილობა.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.6.2.1.	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;*	*სკოლას მიეცა რჩევა, ბრძანებების ნუმერაცია დაიწყოს კალენდრული წლის დასაწყისიდან საქმის წარმოების წესის შესაბამისად.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
   სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც სკოლის ფოიეში იყო გამოკრული. არსანიშნავია, რომ არსებული დოკუმენტი არ არის მისია, რადგან მისიის დოკუმენტად წარმოდგენილი იყო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (საქართველოს მთავრობის დადგენილება №84, 2004 წლის 18 ოქტომბერი). სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით დგინდება, რომ გააზრებული აქვთ ეს პრობლემა და გეგმავენ ამ საკითხზე მუშაობას.
   სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა რომელიც შესაბამისობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
   გასაუბრებით დგინდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს მისიისა და ხედვის დოკუმენტი, მას გააზრებული აქვს რა გერემოში არსებობს დაწესებულება. სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენელები. საუბრისას აღინიშნა, რომ სკოლის სამუშაო ჯგუფი გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობას თემთან, მშობლებთან, დაინტერესებულ პირებთან შეხვედრას, მათთვის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების, პრიორიტეტული მიმართულებების გაცნობას, რაც მათ დაეხმარებათ საკუთარი როლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსაზღვრაში, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ.
სკოლამ წარმოადგინა მისია და ხედვა, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართვას აუცილებლად უზრუნველყოფენ მისიისა და ხედვის შემუსავების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში აღნიშნული იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დაბალი ხარისხი, მაგრამ ასევე სამუშაო ჯგუფის მიერ დაგეგმილი საქმიანობაც იყო განხილული (აპირებენ საინფორმაციო შეხვედრებს, ლექცია დისკუსიის მოწყობას).
   სკოლამ შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რომელიც გაცხადებულია სკოლის ვებ-გვერდზე.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
   სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტი სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში არის ჩანაწერი, რომ მომავალში აპირებენ მშობლების, თვითმმართველობის, სკოლის ყველა თანამშრომლის ჩართვას მისიის შემუშავების პროცესში და სამუშაო ჯგუფი გავითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების, თემის მოსაზრებებს, შემოთავაზებებს.
   არგუმენტირებული პოზიციის დანართებში წარმოდგენილია სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები, რითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
   სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტი, რომელიც რეალურად ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებია, სკოლის ფოიეში იყო გამოკრული. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ როდესაც შეიმუშავებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს აუცილებლად გამოაკრავენ საჯარო სივრცეში, სკოლის ფოიეში. ასევე განათავსებენ სკოლის ვებ-გვერდზე, როდესაც ექნებათ ვებ-გვერდი.
სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
   სკოლის სახელი განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანების შესაბამისად „სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა“. სკოლის ყველა დოკუმენტაციაში, ბლანკზე, ბეჭედზე, Eschool-ში, შემოსავლების სამსახურში, საჯარო რეესტრში ფიქსირდება „სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა“.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის და ხედვის დოკუმენტი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- პროფილი Eschool.
- skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
   სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა რომ გეგმავს აღნიშნული დოკუმენტის შემუსავებას, რადგან იაზრებს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის არსებობა აუცილებელია იმისათვის, აღნიშნული გეგმები იყო რეალისტური და საჭიროებებზე მორგებული. სკოლის სამუშაო ჯგუფი 2023-2024 სასწავლო წლისათვის გეგმავს გაწეროს მეთოდოლოგია, რომელიც დაეხმარება განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესები.
   დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმარების, შეფასების, მონიტორინგის მეთოდოლოგია“, რომელიც დაეხმარება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების განსაზღვრაში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
   სკოლას აქვს ექვწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც წარმოდგენილია მიზნები და შესაბამისი ამოცანები. თუმცა მისიისა და ხედვის არარსებობის გამო შესაბამისობის დადგენა ვერ ხერხდება.
   სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
   სკოლის შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც მხოლოდ ორი მიზანი აქვს გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ აქცენტები 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტიში კეთდება: სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე; სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე; სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის ხელშეწყობაზე; თანამშრომელთა განვითარების ხელშეწყობაზე. დირექციასთან გასაუბბრების შედეგად დგინდება, რომ ისინი საკმაოდ ბევრ აქტივობას გეგმავენ თუმცა ჯერ არ აქვთ გაწერილი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. ამ ეტაპზე ხდება წინა 2022-2023 სასწავლო წლის შეფასება, რაც აისახება მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში.
   სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
   სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად და სკოლის თვითშეფასებაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის სამოქმედო გეგმაში ნაკლებადაა განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს აღნიშნული საკითხების გავითვალისწინებით შეიმუშაოს რეალისტურ სამოქმედო გეგმას, რეალისტური ვადებით, პასუხისმგებელ პირით, სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ექნება საკუთარი როლი გააზრებული და წლის განმავლობაში შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2028 წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა;
- 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

   სკოლას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მიუხედავად სკოლის „სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგი და შეფასების მექანიზმები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

არარსებობისა, მაინც ხდებოდა მონიტორინგი და შეფსება. სასწავლო წლის ბოლოს ,ხდება რეფლექსია“- რა განხორციელდა და რა დარჩა განსახორციელებელი. რაც რეალურად არის შესრულება/არშესრულების აღრიცხვა, თუმცა არა ანალიზი. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექტორი გეგმავს სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც შევიმუშავებს შეფასების მექანიზმს.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმარების, შეფასების, მონიტორინგის მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილი იქნება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

   სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, თუმცა სკოლის დირექტორი სასწავლო წლის ბოლოს აპირებს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ანგარიშის წარდგენას და იმედოვნებს, რომ ახალი გეგმების შედგენისას გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი. ასევე აპირებენ სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც მოახდენს გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

   დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმარების, შეფასების, მონიტორინგის მეთოდოლოგია“.

   პირველადი ავტორიზაციის დროს ინდიკატორი არ ფასდება.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მომდევნო სასწალო წლის განმავლობაში, როდესაც სკოლა მოახდენს ანალიზს - სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გახდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საჯარო. გამოიკვრება სამასწავლებლოში, დერეფანში, განვათავსდება, სკოლის ვებ-გვერდზე, მოეწყობა ღია კარის დღეებს მშობლებისათვის და დაინტერესებული პირთათვის.

პირველადი ავტორიზაციის დროს ინდიკატორი არ ფასდება.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

   სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხდებოდა მონიტორინგი და შეფსება. სასწავლო წლის ბოლოს ხდებოდა აღრიცხვა დაგეგმილი აქტივობები ჩატარდა თუ არა. 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას სკოლის სამუშაო ჯგუფი გააანალიზებს და მიღებულ შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

   პირველადი ავტორიზაციის დროს ინდიკატორი არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექციასთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
სსიპ -ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგი ერთეულების სახით არის წარმოდგენილი: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, ისგ ჯგუფი, ხარისხის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. სკოლას არ აქვს ორგანოგრამა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში არის გაწერილი.
სამეურვეო საბჭო - შედგება შვიდი წევრისაგან, რომელთაგან სამი მშობლებისგან არის არჩეული, სამი - მასწავლებლების მიერ, ხოლო ერთი კი საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმოამდგენელია. სამეურვეო საბჭოს არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა მშობლების თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით. სამეურვეო საბჭო იკრიბება წელიწადში მინიმუმ სამჯერ, დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, წლიურ ანგარიშს, აკონტროლებს სკოლის ფინანსების ხარჯვას, და ა. შ .
სკოლის დირექცია წარმოდგენილია შემდეგი წევრებისაგან: სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, სამნეო ნაწილი. დირექტორი ადმინისტრაციულ საქმიანობასთან ერთად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
პედაგოგიური საბჭო წარმოდგენილი არის 26 წევრისაგან. საბჭოს ჰყავს უმრავლესობის მიერ არჩეული თავმჯდომარე და მდივანი, რომლებიც ორგანიზებას უწევენ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას. პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ირჩევს წარმომადგენლებს დისციპლინურ კომიტეტში, სამეურვეო საბჭოში და ა. შ .
მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოდგენილი არის საბაზო და საშუალო საფეხურზე თანაბარი რაოდენობით არჩეული 12 წევრისაგან. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის დისციპლინური კომიტეტი წარმოდგენილი არის ექვსი წევრისაგან, რიმელთაგან ორი პედაგოგიურ საბჭოს წარმოადგენს, ორი - მშობლებს, ხოლო დარჩენილი ორი კი - საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას.
სკოლაში ფუნქციონირებს ხუთი საგნობრივი კათედრა, ესენი არის შემდეგი: სახელმწიფო ენისა და უცხოური ენების კათედრა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა, დაწყებითი საფეხურის კათედრა.
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამსიად გორელოვკის N3 საჯარო სკოლაში შექმნილი არის სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი (ისგ) , რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპეციალური მმასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, მშობელი.
სკოლაში მოქმედებს ხარისხის ჯგუფი, რომლის მიზანიც არის სწავლა -სწავლების ხარისხის ამაღლება, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, პედაგოგთა შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვა და პროფესიულ განვითარებაში მათ დახმარება. ჯგუფი წარმოდგენილი არის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ყველა საგნობრივი მიმართულების წარმომადგენელი პედაგოგისგან.
სკოლაში არის მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი, მოსწავლის მშობელი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
სკოლის სტრუქტურულ ერთეულების მიერ ფუნქციების და პასუხისმგებლობების განაწილება და შესრულება უზრუნველყოფილი არის შინაგანაწესის, შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, ასევე სამუშაო გეგმების, დებულებების საფუძველზე, რომლებიც სხავადასხვა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის პროცესს არეგულირებს. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია სავალდებულო სხდომები, განსახილველი საკითხები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სასწავლო წლის დასაწყისში წლიური სამუშაო გეგმა აქვს შემუშავებული და დამტკიცებული პედაგოგიურ საბჭოს. დისციპლინური კომიტეტის მუშაობა დამყარებულია დისციპლინური კომიტეტის დებულებაზე და შინაგანაწესზე; დებულებაში განმარტებულია დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები, გადაწყვეტილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიღების მექანიზმი. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც განმარტებული არს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიზნები, თვითმმართველობის არჩევის წესი, მუშაობის წესი, სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ფუნქციები. წლიური სამოქმედო გეგმები შემუშავებული აქვთ ასევე კათედრებს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა განსაზღვრული არის დებულებით, სადაც წევრთა უფლება მოვალეობები და საქმიანობის ფორმა არის გაწერილი.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობას მუშაობას საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის პროცესში. მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია, სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებული არის პედაგოგოგიური საბჭოს მიერ; სკოლის დირექტორი წლის ბოლოს ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და ა. შ . სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ახალი შინაგანაწესი დამტკიცებული არის სამეურვეო საბჭოს მიერ, ხოლო შემდეგ კი მოხდა პედსაბჭოს წევრებისათვის მისი გაცნობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- დირექტორის წლიური ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.
- შინაგანაწესი.
- საშტატო ნუსხა.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები.
- სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
- სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ.-ს ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ.
- კათედრის სამოქმედო გეგმა.
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლას არ აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. სკოლის პერსონალის მართვის პროცესში ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და შეთანხმებული არის პედაგოგიურ საბჭოსთან. შინაგანაწესი არეგულირებს სამუშაოს ხანგრძლივობის, სამუშაო ადგილზე გამოცხადების, შრომის ანაზღაურების, შვებულების, შრომის პირობების დაცვის, წახალისების, დისციპლინური წარმოების საკითხებს, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლი პირის უფლებამოსილებას და ა. შ. პერსონალთან ურთიერთობების რეგულირება ხდება შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც თანხმობაში მოდის სკოლის შინაგანაწესთან. ხელშეკრულებაში ასახული არის მხარეთა უფლება -მოვალეობები, შვებულების გაცემის წესი, სამუშაო ადგილი და დასვენების დრო, შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ანაზღაურების, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ა. შ . პედაგოგთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-11 მუხლში აღნიშნული არის, რომ შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

სკოლის პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა დაცვით. პედაგოგებთან ხელშეკრულებების დადების დროს სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 174 / ნ ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

   სკოლა პერიფერიულ, მაღალმთიან რეგიონში მდებარეობს, რის გამოც სკოლაში არის კადრების მოძიების პრობლემა. საჭირო კვალიფიკაციის კადრების დასაქმების მიზნით სკოლა, დამატებით, მიმართავს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიზნობრივ პროგრამებს (პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“) . სკოლა განსაზღვრავს, რა სახის საჭიროებებს უყენებს ესა თუ ის პოზიცია ინდივიდებს, მაგრამ შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოძიება რთულია. უფლება-მოვალეობების დელეგირებას ართულებს ის ფაქტი, რომ დასაქმებული კადრები ხშირ შემთხვევაში სხვა სკოლაშიც მუშაობენ და მათი დროითი რესურსი შეზღუდული არის. სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ერთერთი მიზანი არის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა: ხდება ურთიერთდასწრება, საჭიროებების იდენტიფიცირება, რეკომენდაციების მიცემა და ა. შ. პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა ცალკე დოკუმენტის სახით გაწერილი არ არის.

სკოლა თავის სამოქმედო გეგმაში მიმდინარე წლის განმავლობაში გეგმავს პერსონალის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლა ახალი კადრების მოზიდვისა და დასაქმების დროს სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 174/ნ ბრძანებით. კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პედაგოგთა დასაქმების ვებგვერდზე teachersjob.ge. კონკურსის გამოცხადების ინფორმაცია შეიცავს შემდეგ მონაცემებს: სკოლის დასახელება, ვაკანტური თანამდებობის დასახელება,საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ინფორმაცია სამუშაო საათების შესახებ, შრომის ანაზღაურების შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაოს დაწყების თარიღი, განცხადების წარდგენის ბოლო ვადა. საკონკურსო კომისიაში შედიან კანონით განსაზღვრული პირები (საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი), მაგრამ არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. დაცული არის კანონით გათვალისწინებული ვადები (არანაკლებ ხუთი კალენდარული დღე). კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. კომისიის მუშაობის შედეგები აისახება შესაბამის ოქმებში. პირადი საქმეების შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ არ იყო წარმოდგენილი ცნობა: ნასამართლეობის შესახებ; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეწყობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ; უფლების ჩამორთმევის შესახებ.

სკოლამ არგუნებტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც გაწერილია კონკურსის ჩატარების წესი. ასევე წარმოდგენილი იქნა ცნობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია ნაწილობრივ შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 174/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პერსონალი წარმოდგენილი არის 1 მენტორი, 5 წამყვანი, 13 უფროსი, 1 მაძიებელი, 5 სტატუსის არმქონე პედაგოგით და 1 სპეციალური მასწავლებლით. სპეციალურ მასწავლებელს აქვს პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებლის სტატუსი. პედაგოგებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N959 ბრძანებით გათვალისწინებულ სავალდებულო პირობებს: მხარეების ვინაობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ინფორმაციას შვებულების შესახებ, სამუშაო ადგილს, სამუშაო დროს, დასვენების დროს, შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ანაზღაურების ოდენობას და გადახდის წესს, მხარეთა პასუხისმგებლობის წესს, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებს წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საკითხს. საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, შრომითის ხელშეკრულება არის გაფორმებული სკოლაში დასაქმებული ყველა პირთან. გარდა საგანმანათლებლო პერსონალისა, სკოლაში დასაქმებული არის: ერთი საქმისმწარმოებელი, ერთი ბუღალტერი, ერთი ბიბლიოთეკარი, ერთი ექთანი, ორი დარაჯი და ორი დამლაგებელი. სკოლას ამ ეტაპზე ხელმძღვანელობს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლი. მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, არ არის დირექტორის მოადგილის პოზიცია სასწავლო -აღმზრდელობით დარგში. სკოლაში დასაქმებული პირების პირად საქმეებში წარმოდგენილი არის მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა საინფორმაციო სისტემაში ჩანს მინიჭებული სტატუსები. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
   სკოლის პერსონალი ჩართული არის სამუშაო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები, სადაც კოლექტიური ფორმით ხდება გადაწყვეტილებების მიღება და მათ წევრებს შესაძლებლობა აქვთ თავისი მოსაზრებები და ინიციატივები გააჟღერონ. სკოლის დირექცია ღიაა თანამშრომელთა იდეებისა და ინიციატივების მისაღებად; არსებული რესურსების გათვალისწინებით, შესაძლებლობების ფარგლებში, აცხადებს მზაობას მათი განხორციელებისათვის. სკოლის პედაგოგები, საკუთარი ინიციატივით, ახორციელებენ ღონისძიებებსა და პროექტებს; პროექტების განხორციელების დროს პედაგოგები თანამშრომლობენ კოლეგებთან, ერთდროულად გეგმავენ და ზრუნავენ საგანმანათლებლო შედეგების მიღწევაზე. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ხაზგასმული არის კათედრებს შორის კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.
   სკოლაში დასაქმებულის წახალისების ფორმები ჩამოყალიბებული არის სკოლის შინაგანაწესში (მე-10 მუხლი) , სადაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, განსაკუთრებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სირთულის ან დიდი მოცულობის სამუშაო შესრულებისათვის და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა. გარდა ამისა, დირექტორი უფლებამოსილია კალენდარულ წელიწადში ორჯერ გასცეს სადღესასწაულო პრემია. სკოლას აცხადებს მზაობას, რომ მომდევნო სასწავლო წელს, წარმატებული გამოცდილების აღიარებისათვის დამატებით მექანიზმებს შეიმუშავებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ვაკანტური საათების შევსების მიზნით, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი.
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება.
- პედაგოგებთან ინტერვიუ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგანმანათლებლო პროექტი .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
   სკოლას არ აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მარეგულირებელი მექანიზმი. პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროცესში სკოლა ემყარება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული არის, რომ ხარისხის ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას და შეფასებას, აძლევს პედაგოგს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე, მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს და სტრატეგიებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს. დებულების მიხედვით გათვლისწინებული არის, უფროსი მასწავლებლის შემთხვევაში მინიმუმ 3 გაკვეთილზე დასწრება, წამყვანი მასწავლებლის შემთხვევაში - არანაკლებ 2, ხოლო მენტორი მასწავლებლის შემთხვევაში - არანაკლებ 1. სკოლაში მიმდინარეობს კათედრებზე თანამშრომლობა, ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება.
   სკოლამ წარმოადგინა მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი „ადამიანური რესურსის მართვა“, რომელშიც მუხლი 20. ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიულ განვიტარებასა და კარიერულ წინსვლას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

   სკოლას თავის სამომავლო ხედვებში (სამოქმედო გეგმაში) გაწერილი აქვს პერსონალის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისათვის მზაობა, თუმცა სკოლას, მოცემულ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა და საჭიროებების ანალიზი ძირითადად ემყარება პრაქტიკულ გამოცდილებას. სამოქმედო გეგმაში ზოგადად არის აღწერილი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ხედვები, საჭიროებს მიღწევის გზების და საჭირო რესურსების გაწერას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

   პერსონალის კარიერული ზრდა ძირითადად დამყარებული არის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობაზე, რომელიც უზრუნველყოფს საგაკვეთილო დაკვირვების შედეგების საფუძველზე პროფესიული საჭიროებების გამოკვეთას და გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა პედაგოგები ჩართულნი არიან საგნობრივი კურკულუმის შედგენაში, ესწრებიან უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებლისათვის განკუთვნილ სავალდებულო ტერნინგებს. სკოლა გეგმავს, სამომავლოდ „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის განვითარებას, შესაბამისი ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელიც სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და პედაგოგთა განვითარებას მოემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილი უნდა იყოს პერსონალის კარიერული ზრდის გზები და ინსტრუმენტები, აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებულ ინფორმაციას პროფესიული განვითარების ტრენინგების, აქტივობების შესახებ აწვდის სკოლის პედაგოგიურ პერსონალს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

   რჩევა:

   სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს პერსონალის მართვის მარეგლირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება პერსონალის კარიერული ზრდის გზები და ინსტრუმენტები.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

   სკოლას არ აქვს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციისათვის მარეგულირებელი მექანიზმები შემუშავებული. ახალი თანამშრომლებისათვის შინაგანაწესის გაცნობა უზრუნველყოფილია მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღნიშნულია, რომ შინაგანაწესი დოკუმენტის განუყოფელი ნაწილია. ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია, ძირითადად, ხდება პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი არის 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში ახალი თანამშრომლების ინტეგრირების მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.
   სკოლა სამომავლოდ გეგმავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების განხილვას და დაგეგმვას, შესაბამისი მზაობა გაწერილი არის 2023-2024 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმაში. მოცემულ ეტაპზე მსგავსი გამოცდილება სკოლას არ აქვს. მასწავლებლების ინიცაიატივით ხდება კათედრებს შორის პრობლემური საკითხების განხილვა, გამოცდილების გაზიარება, კონკრეტული აქტივობების განხილვა, განსაკუთრებით კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებული აქტივობები. ამასთან დაკავშირებით, სკოლა ხელს უწყობს შეხვედრების ორგანიზებაში, როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ სივრცეში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
- კათედრის სხდომის ოქმები .
- პერონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
   საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების დროს სკოლა ხელმძღვანელობს სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც მოიცავს სასწავლო წლის კალენდარს, დღის რეჟიმს, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების გზებს, საათობრივ ბადეს და ინფორმაციას შემაჯამებელი დავალებების ოდენობაზე, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხას, საგნობრივ კათედრებს, სადამრიგებლო პროგრამას, ინკლუზიურ განათლებას, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. წლის განმავლობაში დირექცია და სხვა სტრუქტურული ერთეულები აკვირდება სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესს, ხოლო წლის ბოლოს კი პედსაბჭოზე ხდება მიღწევების განხილვა და შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ანალიზი, არსებული დოკუმენტების გაუმჯობესების და რეკომენდაციების სამომავლოდ გათვალისწინების მიზნით. კათედრებს ასევე შემუშავებული აქვთ, სასწავლო წლის დამდეგს თავიანთი სამოქმედო გეგმები. გეგმებში გაწერილი არის სავარაუდო შეხვედრების განრიგი, კათედრების განსახორციელებელი ღონისძიებები, სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის ფორმა, წლის ბოლოს კათედრაზე განიხილება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, პედაგოგების მიერ შემუშავებული ანგარიშები და რეკომენდაციები გაწეული სამუშაოს შესახებ. სკოლის ხარისხის ჯგუფის ორიენტირებული არის სწავლების ხარისხის ამაღლებაზე და შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარებაში ხელშეწყობაზე, ამ მიზნით აკვირდება პედაგოგებს, აძლევს მათ საჭირო უკუკავშირს და რეკომენდაციებს. მიუხედავად ამისა, სკოლას არ აქვს ჩამოყალიბებული, სისტემური ხედვა პროცესული მიდგომის შესახებ. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში დასახულია ინსტრუმენტის შემუშავება პროცესულ მუშაობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

   პროცესულ მიდგომასთან და დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია სხვადასხვა დოკუმენტში. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხარისხის ჯგუფის დებულება, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სასკოლო კურიკულუმი; ასევე რესურსებით უზრუნველყოფის, ბავშვების რაოდენობის მართვის, უსაფრთხოების მექანიზმები; მიმდინარეობს საქმისწარმოება, სანიტარულ-ჰიგიენური უზრუნველყოფის პროცესები და ა. შ .

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

   სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის საკითხს სკოლაში არეგულირებს შინაგანაწესი. შინაგანაწესში გაწერილი არის შემდეგი საკითხები: დისციპლინური დევნა, დასაქმებულთა დისცილინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, სახდელის დაკისრება, მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, განცხადებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

და საჩივრის განხილვის წესები. სკოლაში საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელი არის სკოლის დისციპლინური კომიტეტი. დისციპლინური კომიტეტი ექვსი წევრით არის წარმოდგენილი, რომელთაგან ორი პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელია, ორი - მშობლების, დარჩენილი ორი კი - საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის. დისციპლინურ კომიტეტს აქვს დებულება, სადაც გაწერილია საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები, კომიტეტის სხდომების პროცედურული მხარე, სხდომის გადაწყვეტილებები. სკოლაში არ არის სააპელაციო კომიტეტი. დისციპლინური წარმოების საკითხები რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N167/ნ ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

   სკოლის პერსონალთან და მშობლებთან / კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული არის ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხიმგებლობის წესი. გარდა ამისა სკოლაში არსებობს გადაწყვეტილებების გასაჩივრების და საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში შემოსული განცხადებების/ საჩივრების რეგისტრაცია და მათზე რეაგირება ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- საგნობრივი კათედრის გეგმები .
- პედსაბჭოს ოქმი.
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი.
- დისციპლინური კომიტეტის დებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
   სკოლას სოციალურ ქსელში შექმნილი არის გვერდი (Facebook), სადაც ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება სასკოლო ღონისძიებების და აქტივობების შესახებ. მოსწავლეთა ფოტოების გასაჯაროებასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური ფორმა, რომლითაც მშობლები ადასტურებენ თავიანთ თანხმობას. სკოლაში იმართება მშობელთა კრებები, რომლის მიზანიც არის მშობლების ინფორმირება მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მათი მოსაზრებების გაგება. სკოლას აქვს მშობლების მოსაზრებებებისა და მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით, კითხვარების შედგენის და გამოკითხვის წერილობით წარმოების პრაქტიკა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.
   სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სკოლის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობაში. სკოლაში ფუნქციონირებს პედსაბჭო, სადაც ყველა პედაგოგს აქვს მონაწილეობის და საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უფლება. პედაგოგის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილია სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნებისმიერის საკითხის განხილვის უფლება პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე. სკოლის სამეურვეო საბჭო წარმოდგენილია პედსაბჭოსაგან არჩეული 3, მშობლების - 3 და მოსწავლეთა საშუალო საფეხურის თვითმმართველობის ერთი წევრით. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგნელი და მოსწავლის მშობელი. სკოლის დისციპლინური კომიტეტი წარმოდგენილი არის ორი პედაგოგით. მშობელთა ორი წარმომადგენლით და საშუალო საფეხურის ორი მოსწავლით. სკოლაში ფუნქცონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელშიც საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეები არიან გაერთიანებულნი. სკოლაში ფუნქციონირების სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფი, რომელშიც პედაგოგ წევრებთან ერთად, შედის მშობელიც

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა თანხმობის ფორმა.
- მშობლებისათვის შედგენილი კითხვარი
- სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი.
- შრომითი ხელშეკრულება.
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი.
- დისციპლინური კომიტეტის დებულება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
   სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც განსაზღვრული არის დირექტორის ბრძანებით, მას გავლილი აქვს სპეციალური გადამზადება და აქვს შესაბამისი სერთიფიკატი. უსაფრთხოებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პასუხისმგებელი პირი აღჭურვილი არის მეტალოდეტექტორით. პირთან გაფორმებული არ არის შრომითი ხელშეკრულება. ოთახები აღჭურვილი არის კვამლის დეტექტორებით. შენობის სხვენი დამუშავებული არის ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით.

სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო სისტემა. ჯამურად არის 7 ვიდეო კამერა: 2 კამერა განთავსებული შენობის მეორე სართულზე, ერთი ვიდეოკამერა განთავსებული არის შენობის პირველ სართულზე, ხოლო ოთხი ვიდეო თვალი კი მთლიანად ფარავს ეზოს გარე პერიმეტრს. შენობის წინა მხარეს განთავსებულ კამერა ეზოსთან ერთად აკვირდება შემოსასვლელს, ხოლო მეორე სართულზე განთავსებული კამერა კი - შენობის ფოიეს (პირველი, მეორე სართული). შენობის შესასვლელში არ არის ჯვარედინი ხედვა. საქართველოს მთავრობის N101 დადგენილებით (2022 წლის 2 მარტი), მე-7 მუხლის მიხედვით, შენობა-ნაგებობის მთავარ შესასვლელთან უნდა იყოს არანაკლებ 2 ვიდეოკამერა. ვიდეო სათავალთვალო სისტემის მონიტორი განთავსებული არის სკოლის ბიბლიოთეკაში. პასუხისმგებელი პირი, დოკუმენტით არ არის განსაზღვრული.

სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას ჰყავს ორი დარაჯი, რომლებთანაც შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები არის გაფორმებული. გარეშე პირები შენობაში შემოსვლის დროს გადიან აღრიცხვას სარეგისტრაციო ჟურნალში. შენობის ორივე სართულზე გამოკრული არის საევაკუაციო გეგმები. შენობის პირველ და მეორე სართულებზე განთავსებული არის ორ-ორი ცეცხლმაქრი.

სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულ მდგომარეობაშია. მოსწავლეებს არ უხდებთ ცენტრალურ გზაზე გასვლა. სკოლის წინ სპორტული მოედანია, რომელიც ასევე შემოღობილია და დაცულია უსაფრთხოების ნორმები. სკოლის შემოსვლელთან არის ამორტიზებული შენობა, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას და სკოლის ადმინისტრაციას განზრახული აქვს მისი დემონტაჟი. შენობა ძირითადი ეზოსაგან იზოლირებულია.

სკოლაში არ არის გამოყოფილი შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს მოსწავლეებს. ექთნის ანგარიშის მიხედვით , ის პროექტის „ჯანსაღი ცხოვრება ხვალინდელი დღე“ ფარგლებში ატარებს საათს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია.

შენობას არ აქვს ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) დასკვნა. მიმდინარე წლის 21ივნისს, ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი არის სკოლის დირექტორის განცხადება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თხოვნით შეისწავლონ სოფელ გორელოვკას N3 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა და განსაზღვრონ მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოება.
სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
სამედიცინო კაბინეტი არის დამოუკიდებელი ოთახი, რომლის ფართია 10 კვ.მ, რაც არ მოდის შესაბამსობაში „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი , პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებასთან N 41/ნ 01-23/ნ. (მინიმუმ 12 კვ.მ). ოთახის კედლები და იატაკი ექვემდებარება სველი წესით რეცხვას, არის ფუნქციონირებადი ხელსაბანი და ფარდით გამოყოფილი იზოლირებული სივრცე. სამედიცინო ოთახი აღჭურვილია პირველადი დახმარების გაწევისათვის საჭირო მედიკამენტებით.

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია), სააქტო დარბაზი.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.
რეკომენდაცია:
სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში მოაწყოს სამედიცინო კაბინეტი;
სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში შეათანხმოს შესაბამის უწყებასთან დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში ვიდეო სათვალთვალო სისტემის მონოტორი განთავსდეს სპეციალურ დაცულ ადგილას;
სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში მოიპოვის დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
სკოლამ შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიწერილობა.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში შემოღებული არის პედაგოგთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც პასუხიმგებელნი არიან წესრიგზე, შენობის ორივე სართულზე და ეზოს პერიმეტრზე. უცხო პირების გადაადგილებაზე პასუხისმგებელი არის კარისკაცი, რომელიც აღრიცხავს შენობაში შემოსულ ადამიანებს და თვალყურს ადევნებს შემოსასვლელს. სკოლაში არის მეტალოდეტექტორი, რომლის გამოყენებაც დასაშვებია, დასაბუთებული ეჭვის შემთხვევში, იმ ნივთების აღმოსაჩენად, რომელთა შემოატანაც სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

   სკოლის ადმინისტრაცია და პერსონალი ცდილობს შქმნას მოსწავლეებისთვის სოციალურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (უსაფრთხოებაზე და რეფერირებაზე პასუხისმგებლობა ერთდაიგივე პირს აქვს დაკისრებული). სკოლის პედაგოგები ზრუნავენ ისეთი აქტივობების და ღონისძიებების განხორციელებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს კონფლიქტების მოგვარებას, გაზრდის სოციალურ შეჭიდულობას. ამ ეტაპზე სკოლაში არ არსებობს ფსიქოლოგის შტატი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

   სკოლაში სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზრუნავს სკოლის ორი დამლაგებელი, რომლებთანაც შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები არის გაფორმებული. სკოლის ადმინისტრაცია სკოლის დამლაგებლების მონიტორონგს აწარმოებს სპეციალური აღნიშვნის ფურცლების საშუალებით , სადაც მათ მიერ დღიურად შესასრულებელი სამუშაო არის გაწერილი. სკოლას ჰყავს სოციალური პროგრამით დასაქმებული პირები, რომლებიც სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე (შენობის შიგნით და გარეთ) არიან პასუხისმგებლები. ნაგავი / ნარჩენები თავს იყრის ეზოში განთავსებულ ნაგავშემკრებ კონტეინერში. სანიტარულ -ჰიგიენური კვანძი სკოლის გარეთ, შენობის უკანა მხარეს მდებარეობს, ვაჟებისა და გოგოების განყოფილებები გამიჯნულია. არის ადაპტირებული სანიტარული კვანძი. პედაგოგებისთვის ცალკე სანიტარული კვანძი არ არის. სველი წერტილები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უზრუნველყოფილი არის მუდმივი წყლით და ჰიგიენური საშუალებებით: საპონი, ქაღალდი და ა. შ. სასმელი წყალი სკოლას მიეწოდება ცენტრალური წყალმომარაგებით. სკოლაში დგას ორი წყლის დისპანსერი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
   სკოლაში მოწესრიგებულია პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები; პერსონალური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია (მატერიალური სახით) ინახება მესამე პირებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას (დირექტორის კაბინეტში). სკოლას აქვს Facebook გვერდი, სადაც განათავსებს ღონისძიებებს და აქტივობებს, რომლებიც სკოლაში განხორციელდა; შემუშავებული არის მშობელთა თანხმობის ფორმა, რომლითაც ისინი სკოლის ადმინისტაციას აძლევენ ნებართვას, ფოტოების სოციალურ ქსელში განთავსებაზე, საგანმანათლებლო მიზნებით. სკოლაში არ არის გამოყოფილი პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
   სკოლა იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლას გადაცემული აქვს უკაბელო Wi-Fi, მუდმივი ლიცენზიებით. სკოლაში არსებულ კომპიუტერებზე გამოიყენება ლიცენზირებული პროგრამები. გამოყოფილი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს კომპიუტერული ტენოლოგიების ხელმისაწვდომობას და ინფორმაციულ უსაფრთხოებას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

   სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას; ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სააგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა.
- სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N 3 საჯარო სკოლის ექთნის ანგარიში.
- სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N 3 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- საინვენტარო აღწერილობა.
- პედაგოგთა მორიგეობის განრიგი.
- აღნიშვნის ფურცლები (ჩექლისტები).

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკაში. შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, სკოლის საერთო ფართობი არის 431,36 კვ.მ. აზომვითი ნახაზი საჭიროებს განახლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა (ID ნომერი 23688786) არის შემდეგი მიწის ნაკვეთების მესაკუთრე:
1. საკადასტრო კოდი N 65.13.32.151 , მიწის ფართობი 1435,00 კვ.მ
2. საკადასტრო კოდი N 65.13.32.216 ,მიწის ფართობი 981,00 კვ.მ.

სკოლას შენობა და მიწის ფართი გადაცემული აქვს უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის სახით.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა არის სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი შემდეგი მიწის ნაკვეთებით მოსარგებლე:
1. საკადასტრო კოდი N 65.13.32.368 , მიწის ფართობი 1077,00 კვ.მ
2. საკადასტრო კოდი N 65.13.32.419, მიწის ფართობი 1698,00 კვ.მ. მიწის ნაწილზე ვრცელდება სერვიტუტის უფლება (183 კვ.მ)
სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა არის 53.
შენობის ორივე სართულზე არის განლაგებული საკლასო ოთახები. მეორე სართულზე მდებარეობს სამასწავლებლო. შენობის პირველ სართულზე განლაგებული არის ადმინისტრაციის (დირექტორის) ოთახი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, რესურსოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, მცირე ზომის საიზოლაციო კაბინეტი. მეორე სართულზე, ერთერთ საკლასო ოთახში, დროებით (კლასის არყოლის გამო), განთავსებულია ჩოგბურთს მაგიდა და სპორტული ინვენტარი.
სველი წერტილები არის ეზოში (შენობის უკანა მხარეს), ისინი წარმოდგენილია ორი დამოუკიდებელი ოთახით , გოგონებისა და ვაჟებისათვის და ერთი ადაპტირებული სველი წერტილით. ცალკე არ არის გამოყოფილი პედაგოგებისათვის განკუთვნილი სველი წერტილი.
შენობა თბება ცენტრალური გათბობით. დაწესებულების უკან, ცალკე ნაგებობაში (ფარდული) არის განთავსებული საქვაბე და საწვავი მასალა (შეშა, ქვანახშირი, ბრიკეტები)
სკოლას აქვს დენის გენერატორი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ელექტროენერგიის მიწოდებას, სკოლის ეზოში განთავსებული არის სპორტული მოედანი, რომელიც სკოლის სახსრებით არის აშენებული 2022 წელს. სპორტული მოედანი შემოღობილია და ხელოვნური საფარით არის დაფარული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საკლასო ოთახები აღჭურვილია დაფებით (ერთი დაფა ყველა კლასში), მერხებით და სკამებით. მერხების რაოდენობა შეადგენს 58-ს, ხოლო სკამების რაოდენობა არის 54.

სკოლის ბიბლიოთეკა მცირე ზომისაა, არ გამოდგება სამკითხველოდ. სკოლის ბიბლიოთეკის სამეცნიერო -საცნობარო ლიტერატურის რიცხვი შეადგენს 198-ს. წიგნები აღრიცხულია კატალოგში, მატერიალური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად: მინიჭებული აქვთ ნომერი და აღნიშნულია ბეჭდით.

პირველ სართულზე არის განლაგებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია. სკოლას აქვს 6 პერსონალური კომპიუტერი და 9 ნოუთბუქი. დაწყებითი კლასების პედაგოგებს გადაცემული აქვთ სარგებლობაში 4 ნოუთბუქი, რომლებიც სკოლის ბალანსზეა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობა განისაზღვრება დებულებით, რომლის მიხედვით მისი საქმიანობის ძირითად პრონციპებს წარმოადგენს მკითხველთა თანასწორუფლებიანობა, ხელმისაწვდომობა და შეუზღუდავობა. დებულებაში გაწერილია მკითხველისა და ბიბლიოთეკარის ვალდებულებები, ბიბლიოთეკარის ფუნქციები და თანამდებობრივი ინსტრუქციები. ბიბლიოთეკართან და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება ბიბლიოთეკის აქტიური მომხმარებელია და წიგნადი რესურსის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. სკოლის ისტ მენეჯერს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც გაწერილია ინფორმაცია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების / ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ, შემუშავებული არის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს და სკოლაში დასაქმებულ პირებს შეუძლიათ რესურსის გამოყენება, ისე რომ გაკვეთილების მიმდინარეობას და სხვა მსურველებს არ შეუშალონ ხელი. ხელმისაწვდომია რესურსოთახი, რომლის რესურსებიც საჭიროებს გამრავალფეროვნებას. მოსწავლეებისათვის მუდმივად ხელმისაწვდომი არის ღია სპორტული მოედანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
   სკოლაში შექმნილი არის ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო პირობები: მთავარ შესასვლელთან (შენობის გარეთ) დამონტაჟებული არის ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის. არის ადაპტირებული სველი წერტილი (გარე). რესურსოთახი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. პირველი და მეორე სართულების დამაკავშირებელი შიდა კიბე არ არის აღჭურვილი პანდუსებით, თუმცა აუცილებელი ინფრასტრუქტურა პირველ სართულზე არის ხელმისაწვდომი (რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაცია). ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს ორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
   სკოლის საერთო ფართის სიმცირიდან გამომდინარე არ არი დამოუკიდებელი სოციალური, კულტურული სივრცეები, სადაც მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ დარჩენის და კომუნიკაციის შესაძლებლობა ექნებათ. მოსწავლეები დღის განმავლობაში, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ სარგებლობენ კომპიუტერული ლაბორატორიით, დარჩენის , აზრების გაზიარების, ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა. კომპიუტერიული ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული არის, რომ გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოსწავლეებს აქვთ ლაბორატორიის გამოყენების შესაძლებლობა. მოსწავლეები ასევე, აქტიურად სარგებლობენ სპორტული მოედნით. სასწავლო პროცესის მხარდამჭერი ფუნქცია აქვს ბიბლიოთეკას, მაგრამ ფართის სიმცირე არ იძლევა საშუალება , რომ მსგავსი ტიპის კომუნიკაციისთვის აქტიურად იქნას გამოყენებული. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კლასგარეშე აქტივობებისთვის იყენებენ საკლასო ოთახებს გაკვეთილების დასრულების შემდეგ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით. სკოლა არჩევანს აკეთებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (Eschool) საშუალებით. გარდა გრიფმინჭებული სახელმძღვანელოებისა სკოლა იყენებს დამატებით სააგნმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რესურსებს: რუკებს, პლაკატებს, საინფორმაციო-საცნობარო ლიტერატურას და ა. შ . სკოლას აქვს სხვადასხვა სპორტული ინვენტარი: ტენისის მაგიდა, სატანვარჯიშო ბურთი, რაგბის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, სანიშნეები, ბარიერები, ლახტი, ორი ცალი ლეიბი, ჭადრაკი. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი აქტიურად იყენებენ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულ ელექტრონულ რესურსებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შენობის აზომვითი ნახაზი
- მიღება -ჩაბარების აქტი
- ბიბლოთეკარის ანგარიში
- წიგნების კატალოგი.
- ინტრევიუ ბიბლიოთეკართან, პედაგოგებთან.
- ბიბლიოთეკის დებულება.
- კომპიუტერული ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმა
- საინვენტარიზაციო აღწერილობა
- Eschool -ის ბაზა
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
   სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მოიცავს პირველ სართულზე განლაგებულ კომპიუტერულ ლაბორატორიას. ლაბირატორიაში სამი პერსონალური კომპიუტერი და პროექტორი არის განთავსებული, ერთი პერსონალური კომპიუტერი და პრინტერი განთავსებული არის სკოლის სამასწავლებლოში, ორი კი ადმინისტრაციულ ოთახში (დირექცია). სკოლას აქვს პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში გადაცემული ცხრა ნოუთბუქი, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები, პედაგოგები, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი და ექთანი.
   სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიები გამოიყენება ინტერაქტიური და მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის წარსამართავად, კომპიუტერული ტექნოლოგიების ოთახში იმართება გაკვეთილები და პროექტები. სკოლაში დანერგილია ელექტრონული ჟურნალი, რომელიც მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის ინფორმაციის მიღების საშუალებას წარმოადგენს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ორი პედაგოგი და ემსახურება აიტმენეჯერი. შემუშავებული არის კომპიუტერული ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმა. გეგმაში ასახულია კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა და განლაგება, ასევე ინფორმაცია მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ სამუშაო სივრცის გამოყენების შესახებ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განლაგებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება შესაძლებელი არის წინასწარ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად. სამუშაო დღის განმავლობაში გაწერილი არის დრო მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის. გარდა ამისა, გრაფიკის მიხედვით, კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყანება, შესაძლებელია შაბათ-კვირას, წინასწარი შეთანხების საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფილი არის უკაბელო Wi-Fi -ის ქსელით, მუდმივი ლიცენზიებით, „ინოვაციების, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის ფარგლებში „Wi-Fi ქსელების მიწოდება და მონტაჟი“. სკოლაში იმართება გაკვეთილები, ღონისძიებები, პროექტები კომპიუტერიული ტექნოლოგიების გამოყენებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნოლოგიების სამოქმედო გეგმა
- საინვენტარო აღწერილობა
- მიღება-ჩაბარების აქტი
- პროექტის გეგმა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
   სკოლას აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებს და ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტბრუნვის სისტემას. საქმისწარმოების ინსტრუქციაში გაწერილია შემდეგი საკითხები: რეგულირების სფერო, საქმისწარმოების ფორმა, დოკუმენტბრუნვის ორგანიზება, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა, მატერიალური დოკუმენტბრუნვა, სკოლის კანცელარიის უფლება-მოვალეობები, დოკუმენტების არქივში გადასაცემად მომზადება, ნომენკლატურის შედგენა.
   სკოლაში მოქმედებს შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი. შემოსული დოკუმენტაცია დანომრილია. 2023 წლის ბრძანებების, ნუმერაცია არ იწყება კალენდარული წლის დასაწყისიდან.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
   რჩევა:
   სკოლას მიეცა რჩევა, ბრძანებების ნუმერაცია დაიწყოს კალენდრული წლის დასაწყისიდან საქმის წარმოების წესის შესაბამისად.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow. ხდება შემოსული მატერიალური დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, პირველადი ვერსიისათვის დამახასიათებელი რეკვიზიტებით. დოკუმენტი მაქსიმუმ ერთი სამუშაო დღის განმავლობაში გადაეცემა შემდეგ ადრესატს. სკოლა იყენებს Microsoft 365 -ის პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც ყველა თანამშრომლისათვის შექმნილი არის ანგარიშები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
   სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დირექციას დროულად შეაქვს და განააახლებს საჭირო ინფორნაციას Eschool-ის ბაზაში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
   სკოლა აწვდის ანგარიშებს საგანმანათლებლოს საგანმანათლებლო საქმიანობს მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის, 10 დეკემბრამდე ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს , აღნიშნული ანგარიში ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეზე. სკოლა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრთან.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საერთო დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი.
- შრომითი ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან.
- საქმისწარმოების ინსტრუქცია.
- სკოლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლას არ აქვს სკოლის ვებ-გვერდი, საზოგადებასთან კომუნიკაციისათვის იყენებს სოციალურ ქსელში Facebook-გვერდს, სადაც განათავსებს ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების და სიახლეების შესახებ. მშობლების ინფორმირების მიზნით სკოლა მიმართავს უშუალო შეხვედრების (კრებების) ჩატარებას, სადაც აცნობს მიმიდნარე სიახლეებს და იღებს მათგან უკუკავშირს. მშობლებისა და მოსწავლეებისათვის უკუკავშირის ინსტრუმენტს წარმოადგენს ელექტრონული ჟურნალი.
სკოლას აქვს აქტიური ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობიტაც ხდება ინფორმირება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
   სკოლის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებულ ინფორმაციას დაწესებულებების მიერ განხორციელებული სამიქნობის შესახებ ახლავს პროცესის ამსახველი ფოტომასალა. სკოლის ადმინისტრაცია შეხვედრებზე, კრებებზე აწვდის სრულ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
   სკოლა უკუკავშირს იღებს სოციალური ქსელის საშუალებით; მშობლეთა კრებებზე ხდება მოსწავლეთა მშობლების მოსაზრებების მოსმენა. სკოლას, მშობელთა მოსაზრებების გაგების მიზნით, აქვს წერილობითი გამოკითხვის წარმოების გამოცდილება. სკოლის წარმომადგენლობა უკუკავშირის შედეგებს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
   სკოლას არ აქვს მოქმედი ვებგვერდი, გარდა სოციალური ქსელისა. მიმდინარე წელს (26.06.2023) ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაგზავნილი არის სკოლის მიმართვა განათლების მართვის საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სისტემასთან შუამდგომლობის თაობაზე, სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკას N3 საჯარო სკოლის ვებგვერდის შექმნის მიზნით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
მოცემულ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებგვერდი.
სკოლას აქვს აქტიური ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გვერდი სოციალურ ქსელში: სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა | Facebook
- მშობელთა კრების ოქმი
- მშობელთათვის განკუთვნილი კითხვარი.
- სკოლის დირექციის წერილი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
   სკოლას 2022 წლის ნოემბერში სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებული აქვს შესყიდვების გეგმა, რომელიც დამტკიცდა სკოლის დირექტორის ბრძანებით და აიტვირთულია შესყიდვების გვერდზე. სკოლა წლის განმავლობაში ეტაპობრივად ახორციელებს შესყიდვებს სამოქმედო გაგემაში და სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საჭიროებების შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი შეთანხმებულია სამურვეო საბჭოსთან; შესყიდვების გეგმა გათვალისწინებულია ბიუჯეტში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.
   2022 წლის ნოემბერში სკოლას შემუშავებული აქვს სახელმწიფო წლიური შესყიდვების გეგმა, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული. იმავე წლის დეკემბერში, სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებული არის სამეურვეო საბჭოს მიერ. შესყიდვების წარმოების დროს სკოლა აწარმოებს ბაზრის კვლევას, აფორმებს ხელწერილს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, შესყიდვის ხელშეკრულებას, მიღება- ჩაბარების აქტს, დოკუმენტაცია იტვირთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. წლის ბოლოს , სკოლის დირექცია ფინანსური საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N 3 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი
- სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N 3 საჯარო სკოლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა
- სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N 3 საჯარო სკოლის შემოსავლები და ხარჯები (2023 წლის იანვრის მდგომარეობით)
- სკოლის სამეურვეო საბჭოსადმი წარდგენილი ფინანსური საქმიანობის ანგარიში

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
   სკოლას შემუშავებული აქვს და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლეთა უფლებებს, ვალდებულებებს, წახალისების, დისციპლინარული გადაცდომებსა და პასუხისმგებლობის სახეებს, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესს.
   ასევე სკოლის წარმომადგენლები სასწავლო წლის დასაწყისში გაფორმებულია ხელშეკრულება მოსწავლის მშობელსა და სკოლას შორის, წარმოდგენილ დოკუმენტში ჩანს მოსწავლის უფლებები, ვალდებულებები. სკოლაში არცეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც საბაზო ასევე საშუალო საფეხურის კლასების თვითმმართველები. საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე არის სამეურვეო საბჭოს წევრი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები - შინაგანაწესი, ხელშეკრულება გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.
სკოლის შინაგანაწესი გაკრულია სკოლის ფოიეში, პირველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას. ასევე შინაგანაწესის თითო ეგზემპლარი არის ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლოში. სკოლის დირექციის და კლასის დამრიგებლების მიერ ერთობლივად მომზადდა შინაგანაწესის დოკუმენტის პრეზენტაცია, რომელიც გაზიარებული იყო მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. სანამ მშობლები ხელს მოაწერენ ხელშეკრულებებს, კლასის დამრიგებლები განუმარტავენ მათ შინაარს და ხშირად ერთობლივად კითხულობენ, საჭიროების შემთხვევაში პასუხობენ დასმულ კითხვებზე, რის შემდეგაც აწერენ ხელს. სკოლის დირექციამ განმარტა, რომ როდესაც ექნებატ ვებ-გვერდი აუცილებლად გამოაქვეყნებენ შინაგანაწესსაც და ხელშეკრულების ფორმას ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.
   მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი, დანართი N 8;
- მოსწავლეთა თვითთმმართველობის სხდომის ოქმი N1, 31/10/2022. დანართი N 31;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების შესახებ 15/09/2022. დანართი N 32;
- სამოქმედო გეგმა 2023. დანართი N 33;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება 15/09/2022. დანართი N 34;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინფორმაციის გავრცელებაზე თანხმობის ფურცელი. დანართი N 35

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
   სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის დროს სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2017წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგი პროცედურები/პრაქტიკა: სკოლა ახორციელებს პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაციას და ჩარიცხვას, ასევე სკოლაში (გარდა პირველი კლასისა) მოსწავლეთა ჩარიცხვას, მობილობას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებას და აღდგენას, მოსწავლის მიერ კლასისა და საფეხურის დაძლევას კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმების დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
   სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს და ვადებს და ასეთ შემთხვევებში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით. მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების შემთხვევებში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2017წლის 11იანვრის N04/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“. მოსწავლის მობილობის (სხვა სკოლიდან გადმოსვლის) შემთხვევებში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე (მოსწავლის მშობლის მიერ დაწერილი განცხადება, მოთხოვნა სკოლაში გაგზავნილი, ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, ექსტერნის, კლასის დაძლევის, საფეხურის დაძლევის, სკოლიდან ამორიცხვის შესახებ და ა.შ.) დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
   სკოლა, მეორე უცხო ენას, სთავაზობს მოსწავლეებს V კლასიდან. დამრიგებლების მიერ IVკლასის ბოლოს ხდება მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვა, რომლებსაც მიეწოდებათ ენების ჩამონათვალი და უნდა აირჩიონ მათთვის სასურველი. მიმდინარე წელს არჩეულია რუსული ენა. სკოლა მდებარეობს გარემოში, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები - რუსები (დუხობორები), სომხები, არჩევანი განპირობებული იყო აღნიშნულით. სკოლის მიერ არ არის განსაზღვრული რაიმე ტიპის ფასიანი მომსახურება.
   მოსწავლეებისთვის მიწოდებული ინფორმაცია აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანაბრად ჩაერთოს სკოლის მიერ შეთავაზებულ პროექტები, სხვადასხვა აქტივობაში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
   სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სასწავლო პროცესთან, სხვადასხვა აქტივობებთან, რესურსებთან დაკავშირებით არის კანონმდებლობის შესაბამისი.
   სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებიტ დგინდება, რომ ინფორმაცია, რომელიც სკოლაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ვრცელდება კონკურსების, პროექების, აქტივობების შესახებ ყოველთვის გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, ასევე ხდება სკოლის მიერ მოსწავლეებისავის გადაცემა არსებული ინფორმაციის, სკოლაში არსებული რესურსების გამოყენების შესახებ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N93, 22/12/2022 მოსწავლის მე-2 კლასში ჩარიცხვის შესახებ. დანართი N 37;
- ბრძანება N98, 17/01/2023 მე-10 კლასის მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვის შესახებ. დანართი N 38;
- ბრძანება N44, 22/06/2022, მოსწავლეთა საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ. დანართი N 39;
- მშობელთა კრების ოქმი უცხოური ენის არცევის შესახებ. დანართი N40;
- მშობლის განცხადება (16/01/2023), მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანის შესახებ. დანართი N 41;
- მშობლის განცხადება (13/12/2022), მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ. დანართი N 42;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმიN7, (17/06/2022), მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ. დანართი N 43;
- ბრძანება N36, 22/06/2022, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ. დანართი N 44

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
   სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის. 2022-2023 სასწავლო წელს პირველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლასის დამრიგებელი წინასწარ მიდიოდა საბავშვო ბაღში, ლექსბიც ამობეჭდა, ასწავლა მომავალ პირველკლასელებს, მოიყვანა სკოლაში ერთად დაათვალიერებინა სკოლა, ღონისძიება მოამზადა სწავლის დაწყებისათვის ბაღის აღმზრდელებთან ერთად. სწავლის პირველი დღისათვის სკოლის თანამშრომლებმა და უფროსკლასელებმა სასკოლო გარემო მოამზადეს, სახელმძღვანელოები მოამზადეს მოსწავლეებისათვის გადასაცემად და ბუკეტან ერთად გადასცეს. განწყობა, რომელიც შეიქმნა წინასწარ სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოსწავლეებსგაუადვილა ახალ გარემოსთან ადაპტაცია. ყოველ ახალ სასწავლო წელს ეწყობა ასეთი შეხვედრები პირველკლასელთათვის.

თუმცა სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომელშიც გაეწერილი იქნება, არა მხოლოდ პირველკლასელებზე ორიენტირებული აქტივობები, არამედ ნებისმიერი კლასის მოსწავლის მობილობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი აქტივობები.

სკოლის ვებ-გვერდზე განტავსებულია მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელიც შესაბამისობის გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ვადებში მომზადდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

   სასკოლო გარემო მორგებულია მოსწავლების საჭიროებებზე, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა კლასები განთავსებულია პირველ სართულზე, მერხები და სკამებიც ასაკის შესაბამისადაა განლაგებული საკლასო ოთახებში. პირველი კლასის მოსწავლეებისატვის სასწავლო წლის დამრიგებელი აწყობს სკოლის შენობაში „ექსკურსიას“, აცნობს მოსწავლეებს, სად რა მდებარეოს. საგაკვეთილო ხანგრძლივობა განსხვავებულია პირველ (35 წუთი), მეორე (40 წუთი) და დანარჩენ (45 წუთი) კლასებს შორის. ნებისმიერ ახალი მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაშიც ასევე კლასის დამრიგებელი ზრუნავს ამ მოსწავლის ადაპტაციაზე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლა მოსწავლეებს უწევს ერთგვარ კონსულტაციას აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებისათვის, აწვდის მას განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლე იაზრებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს. განმავითარებელი კომენტარი კეთდება ყველა წერილობით დავალებაზე და ასევე ზეპირსიტყვიერად. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს აქვტ შესაძლებლობა გაკვეთილების შემდეგ კონსულტაციის მიღების, კლასის დამრიგებელთან და მშობელთან შეთანხმების შემდეგ. სკოლაში მშობლებთან შეხიდუალურად, რათა ინფორმირებულები იყვნენ შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ. სკოლის მოსაზრებით დასახვეწია მოსწავლეებისათვის აკადემიური მიღწევების სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით მომდევნო - 2023-2024 სასწავლო წლიდან სამუშაო ჯგუფი გეგმავს შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

   მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რაეგირება. მაგალითად მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება. სკოლას არ ჰყავს მოსწავლე შინსწავლებაზე, თუმცა ამ მიმართულებით ინფორმაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. რის შესახებაც ინფორმირებულები არიან მშობლები სასწავლო წლის დასწისში. მაგალითად მოსწავლე რომელიც გადმოვიდა სხვა სკოლიდან, აღმოჩნდა, რომ არ სწავლობდა მუსიკას და პირველი სემესტრში არ იყო შეფასებული, კანონმდებლობის შესაბამისად ექსტერნის გამოცდის ჩაბარება მოუწია მოსწავლეს, ამით სკოლამ ერთგვარი მხარდაჭერა აღმოუჩინა მოსწავლეს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

   სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობამ წარმოუდგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საკუთარი ინიციატივები, აქტივობები. სკოლის მიერ მხარდაჭერილი იყო შემდეგი აქტივობები: სკოლის კურსდამთავრებულების მოწვევა უნივერსიტეტებზე გასაუბრების ინფორმაციის გაზიარების მიზნით; სასკოლო პროექტი - „ჯანსაღი ცხოვრება-უკეთესი ხვალინდელი დღე"; ჭადრაკსა და სამაგიდე ჩოგბურთში გამართული ჩემპიონატი; საახალწლო კარნავალი. ამ შეხვედრების ორგანიზებისა და წარმართვისათვის მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

   სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებტან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის უკუკავშირის შემდგომ დაწესებულება ითვალისწინებს სურვილებს, რეკომენდაციებს, რაც აისახება შემდგომ განხორციელებულ აქტივობებში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N106, 23/02/2023წ. ექსტერნის საგამოცდო კომისისს შექმნის შესახებ. დანართი N 45;
- შინსწავლება სსსგ 2022-2023ს.წ. დანართი N 46;
- ექსტერნის საგამოცდო კომისის სხდომის ოქმი N1. 02/03/2023წ. დანართი N 47;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. დანართი N 48, N49;
- მოსწავლის ცნობა (MES 6230000168191, 14/02/2023) ექსტერნის ფორმით დაძლევის მიზნით დანართი N 50;
- პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი-ხვალინდელი დღე" დანართი N 51

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
   სკოლას აქვს გამოცდილება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ. კლასის დამრიგებლების სამოქმედო გეგმაში, კლასის საათის თემებში გათვალისწინებულია პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მაგალიტად ისეთი თემა როგორიცაა „ჩემი მომავალი პროფესია. როგორ მესახება იგი?“ ასევე სკოლაში ხდება კურსდამთავრებულებთან შეხვედრები, რომლებიც აცნობენ ინფორმაციას უნივერსიტეტებტან დაკავშირებით, პროფესიების შესახებ, პროფესიის არჩევისას რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. მეთორმეტე კლასის დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს ცნობარს, ესაუბრა პროფესიებზე. სკოლის საქმისმწარმოებელი ეხმარა ყველა მოსწავლეს ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციის პროცესში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
   სკოლა ყოველწლიურად დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას სააბიტურიენტო ცნობარი შესახებ, სად როგორ შეიძლება მოიპოვოს. ასევე აწვდის ინფორმაციას პროფესიული კოლეჯების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

   სამომავლოდ სკოლა გეგმავს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებისა და გაწეული მომსახურების შესახებ კურსდამთავრებულთა და მშობელთა გამოკითხვას, რის შედეგებსაც გაითვალისწინებს სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისა. სკოლის სამუშაო ჯგუფი გეგმავს მცირე კვლევის განხორციელებას, რომელიც დაეხმარება სკოლას მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კლასის საათის ოქმი (დანართი N52);
- სამოქმედო გეგმა (დანართი N53).

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

   სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია საკითხი - „ინკლუზიური განათლება“, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და სადაც წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:

   - ინკლუზიური განათლება;
   - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (რა მოიაზრება ცნებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე; რა პროცედურებით ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება; სკოლის ვალდებულება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება; როგორ უნდა მოახდინოს მოსწავლისთვის ესგ-ს მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება.);
   - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (რა არის ისგ; რის საფუძველზე ხდება ისგ-ს შემუშავება; მოსწავლის რა საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდეს ისგ; რას ნიშნავს ისგ ჯგუფი; ისგ ჯგუფის ფუნქციები; რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ისგ.);
   - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი (ისგ ჯგუფის ფუნქციები; მონიტორინგის პროცესი.);
   - სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები
   - სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება (რა შემთხვევაშია დასაშვები შინ სწავლება; ვინ იღებს გადაწყვეტილებას; რა პროცედურებია საჭირო შინ სწავლების უზრუნველყოფისათვის).

   „ინკლუზიური განათლება“ არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი სადაც წარმოდგენილია სსსმ მოსწავლესტან მუშაობის მექანიზმები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე 3 მოსწავლე ირიცხება. სკოლის ისგ ჯგუფი სასწავლო წლის დასაწყისში სსსმ მოსწავლეებისათვის ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, თუმცა გეგმის გაწერა ძირითადად მიმდინარეობს საგნის მასწავლებლის მიერ. გვაქვს სკოლაში შემოსასვლელში ლიფტი, ადაპტირებული საპირფარეშო, რესურსოთახი. სსსმ მოსწავლეები ესწრებიან გაკვეთილებს, თუმცა სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს შედგენილი გრაფიკის შესაბამისად ინდივიდუალურად ამეცადინებს რესურსოთახში.

სკოლამ წარმოადგინა: ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; ინკლუზიური განათლების 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; ისგ-ს შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების სხდომის ოქმები; ბრძანება N31-2 (27/05/2022) ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ; ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ რომ სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლება (სასკოლო სასწავლო გეგმა);
- ინკლუზიური განათლების 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა(დანართი N57);
- ისგ-ს შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების სხდომის ოქმი(დანართი N59);
- ბრძანება N31-2 (27/05/2022) ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ (დანართი N55);
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა(დანართი N58);

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო)***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

   სკოლის საზოგადოებას აქვს მუნიციპალურ დონეზე სატრანსპორტო მომსახურება; სხვა სოფლიდან, სადაც არ არის ქართული სკოლა, მოსწავლეს ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია. სკოლამ წარმოადგინა ტაბელი, რომელსაც სკოლა ავსებს და აწვდის შესაბამის ორგანოს სკოლის წარმომადგენლისა და მძღოლის ხელმოწერებით. ტაბელში გაწერილი სკოლის უფლებამოსილი პირისა და მძღოლის მომაცემები, ასევე განხორციელებული მარშრუტის აღწერა რაოდენობა.

   სკოლაში არ ფუნქციონირებს კვების ბლოკი/ბუფეტი, შესაბამისად მოსწავლეებისათვის ვერ ხერხდება კვების სერვისების შეთავაზება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

   სკოლას აქვს მხოლოდ მუნიციპალურ დონეზე სატრანსპორტო მომსახურება, აღნიშნული მიმდინარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით შეთანხმებით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესსზე დასწრებას, რაც უქმნის მოსწავლეს უსაფრთხო გარემოს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
   უსაფრთხოების თვალსაზრისით ტრანსპორტირების ოქმში სავალდებულოა დაფიქსირდეს მძოლისა და სკოლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, დაფიქსირდეს ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შემდეგი: სკოლაში მოსწავლის მიყვანა განხორციელდა 5 წუთის დაგვიანებიტ, ან 40 წუთით ადრე; მოსწავლის წამოყვანა სკოლიდან განხორციელდა 40 წუთის დაგვიანებით; სატრანსპორტო საშუალებაში მოსწავლის ადგილი არ არსებობს, რის გამოც მოსწავლე დგას ფეხზე; გავლილი არ იქნება მიმართულებაში მითითებული ყველა პუნქტი. ტაბელის წარმოების მიზანი არის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტირების ტაბელი (დანართი N61);
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. დაწყებითი საფეხური სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N-3 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი შემუშავებისას გათვალისწინებულია, როგორც არსებული ცოდნა და გამოცდილება, ასევე მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერესები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპლექსური დავალების შედგენის დროს მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინება. კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მიდგომები ნათლად აჩვენებს, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი, შეხედულება, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, განსაკუთრებით კი მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.
ყველა საგანთან მიმართებაში, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სასკოლო საზოგადოების ინტერესის გათვალისწინების მიზნით, მასწავლებლები მშობელთა კრებებზე ისმენენ მათ მოსაზრებებს განხორციელებულ კომპლექსურებზე, ასევე პედაგოგები იკრიბებიან და მსჯელობენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების შედეგებზე. გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, პრიორიტეტულია მოსწავლეებთან აქტიური თანამშრომლობა, მათი საჭიროებების დადგენა; მშობელთა ინფორმირებულობას სკოლის მისიის, სასკოლო კურიკულუმის, საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, მათთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირის მიღება (რამდენად შეძლეს სკოლის კურიკულუმების საკუთარ პრიორიტეტებთან თანხვედრის დანახვა); კათედრების ინფორმირებულობა სიახლეების შესახებ და მათი ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში; ესთეტიკის მიმართულების პედაგოგებმა, მაგალითად , ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ კარგად აქვთ გათავისებული სკოლის, თემის საჭიროება და სასწავლო გეგმებს შექმნიან სოციუმის ინტერესების გათვალისწინებით.
აღსანიშნავია, რომ დაწყებითი საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, მათი იდეები კათედრაზე შეთანხმებულად შეირჩა, კათედრის წევრები დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გარდა ამისა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებით, მათ ნარატივს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
ყველა საგანთან მიმართებაში, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების აქტიური თანამშრომლობით, რაც ცხადი ხდება დოკუმენტაციიდან და გასაუბრების შედეგებიდან. მუშაობის პროცესი პედაგოგებმა გამოიყენეს წინარე გამოცდილება, იხელმძღვანელეს კურიკულუმის გასული წლის მასალებით. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადების - მასწავლებლების მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოთხოვნების შესაბამისად. გასაუბრების შედეგებიდან ასევე ჩანს, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს და მშობლების მოსაზრებებს. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ ისინი აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებაც და შეხედულებებს, რის საფუძველზეც ავითარებენ კომპლექსურ დავალებებს. კათედრის წევრები მსჯელობენ კომპლექსური დავალებების შედგენის დროს, მოსწავლეებს რა უჭირთ, რა უფრო ეხალისებათ. საბოლოოდ, კურიკულუმებს წარუდგენენ ადმინისტრაციას. ნათელია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის წევრთა მაღალი ჩართულობით.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის გაზიარებული არის სასკოლო საზოგადოების მიერ. მაგალითად, სკოლის უცხო ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალები აღიქმება, როგორც კათედრის თითოეული წევრის სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. მათთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ უცხო ენების მასწავლებლებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, რაც დაფუძნებულია იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მათ აქვთ კურიკულუმის შემუშავება-დანერგვის პროცესთან მიმართებაში, მათ შორის სადამრიგებლო საათის თუ მშობელთა კრების სახით მოსწავლეებთან თუ მშობლებთან გაზიარება-თანამშრომლობის თვალსაზრისით. ასევე, ესთეტიკური აღზრდის კათედრის პედაგოგებმა, ინტერვიურების პროცესში აღნიშნეს, რომ მშობელთა ჩართულობისათვის მოაწყობენ შეხვედრებს, ჩაატარებენ ღია გაკვეთილებს, გამოიყენებენ კომპლექსური დავალების ბარათებს, თანდართული სრულფასოვანი ინსტრუქციებით, რომელთა შაბლონები წარმოადგინეს ავტორიზაციის პროცესში. ღია გაკვეთილებზე მოიწვევენ სკოლის დირექციას, კოლეგებს და მშობლებს და სასკოლო საზოგადოებას ამგვარად გაუზიარებენ სასწავლო აქტივობებს. ერთ-ერთ ინფორმაციის მიღება-გაცვლის წყაროდ დასახელდა დამრიგებლის მიერ ორგანიზებული მშობელთა კრებები. სკოლამ შექმნა ვებ-გვერდი და აქტიურად გეგმავს გამოყენებას სიახლეების გასაცნობად.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *კურიკულუმები-ინგლისური ენა (I-VI კლასები); რუსული ენა (V-VI კლასები)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *დანართი N7*
- *დანართი N31- თვითმმართველობის ოქმი;*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა*
- *დანართი N34-მოსწავლის მშობლის ხელშეკრულება*
- *.დანართი N40- მშობელთა კრების*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ საფუძველზე იკვეთება სკოლის მზაობა სწავლის პროცესი განხილულ იქნეს როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს; მოსწავლე მოიაზრება, როგორც სწავლა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლების აქტიური სუბიექტი. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე უცხოურ ენებში წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ცნებების საშუალებით კი გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები.
მაგალითად, სახელმწიფო ენაში შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით.
ასევე, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები ითვალისწინებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს, რაც დასტურდება ერთმხრივ რომ კურიკულუმები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად არის აგებული. ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გეგმავენ კეთებით სწავლებაზე დაფუძნებულ გაკვეთილებს. ითვალისწინებენ, მოსწავლეებს რა უჭირთ, რა უფრო ეხალისებათ. მომდევნო სასწავლო წლისთვის აკეთებენ ანალიზს მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებებიდან გამომდინარე.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს როგორ შეიძლება სამიზნე ნიშნულამდე მისვლა, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის. შემოთავაზებული კომპლექსური დავალების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითის, კომუნიკაციის უნარების განვითარებას.
მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების შექმნისას გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრულია მისაღწევი შედეგები, რაც გულისხმობს იმას, რომ სკოლაში კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლები იაზრებენ, გეგმავენ და ცდილობენ მოსწავლეებში განავითარონ შემოქმედებითი, კრიტიკულ აზროვნების, კომუნიკაციის, მოქალაქეობრივი, ნებელობითი უნარები კომპლექსური და პროექტული სწავლების გზით. დავალებები მიემართება სამიზნე ცნებების, ქვეცნებების და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენები

მათემატიკის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში, რომელსაც იყენებდნენ 2022-2023 სასწავლო წელს. გრძელვადიან მიზნებად გააზრებული იყო სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები; ძირითად შემთხვევაში აღქმული იყო გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტი კათედრის ფარგლებში შემუშავების პროცესშია და იგეგმება ამ მიმართულებით სასწავლო წლის დაწყებამდე მუშაობა.

ესთეტიკის მიმართულებით შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. წარმოდგენილ ჩარჩოებში გამოიკვეთა შეცდომები, რომელთა ნაწილობრივი ჩასწორება მოხერხდა. მაგ: მაგ: ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი თემატური ბლოკების ჩამონათვალი წარმოადგენდა საბაზო საფეხურის თემატურ ბლოკებს (ჩასწორდა); ცნებები დასაზუსტებელი იყო მოცემულ საკითხებთან კონტექსტში (ჩასწორდა); კონტექსტ მაგალითები დაკონკრეტდა კომპლექსური დავალების იდიეს შესაბამისად. მუსიკის საგანში, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა აგებულია სამინისტროს მასალაზე და თითოეულ კლასში, თემების შესაბამისად, განხორციელდება სამი კომპლექსური დავალება, კონტექსტ მაგალითები ზოგადია და შედარების მაგალითები თითქმის ყველა თემაში შეუვსებელია. პედაგოგთა განმარტებით, სექტემბრამდე, კურიკულუმები დამუშავდება და სრულფასოვან სახეს მიიღებს.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას.

მაგალითად, სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით, , სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.
საბუნებისმეტყველო მიმართულებით სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის მიხედვითაც ასწავლიან სსსმ მოსწავლეს, თუმცა არ არის სრულყოფილი ფორმა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა დავალება და აქტივობა. გამოიკვეთა მზაობა სკოლამ დახვეწოს აღნიშნული ფორმა. პრაქტიკული გამოცდილება აქვთ სასწავლო პროცესში დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გამოყენების კუთხით.
სხვადასხვა საგნობრივ მიმართულებებში, მაგ. საზოგადოებრივ მეცნიერებში, ესთეტიკურ აღზრდაში სკოლას განზრახული აქვს უფრო სრულყოფილი მექანიზმების შექმნა. კათედრების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ისეთი საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, სადაც სწავლის სწავლაზე იქნება აქცენტი გადატანილი და პროექტული სწავლების დანერგვის შემთხვევაშიც, სწავლის სწავლაზე გამახვილდება ყურადღება.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ სხვადასხვა საგანში წარმოდგენილი იქნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებებს).
სკოლამ, კონტექსტ-მაგალითზე დაყრდნობით, წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საზოგადოებრივ მეცნიერებებში. წარმოდგენილი რუბრიკები მიემართება საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებებს). განხილულია სამიზნე ცნებები და ცნებასთან მიმართებაში წარმოდგენილი არის თუ რა უნდა შეძლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.
მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სკოლამ კონტექსტ მაგალითზე და კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებს). განხილულია სამიზნე ცნებები და ცნებასთან მიმართებით წარმოდგენილია თუ რა უნდა შეძლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკამყოფილებულია.

რჩევა: მათემატიკის კათედრმ უნდა იხელმძღვანელოს მათემატიკის ახალი სტანდარტით, ახალი სამიზნე ცნებებითა და მათი მკვიდრი წარმოდგენებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას უნდა გამოიყენონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეთოდიკურ ორიენტირები, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას.
მაგალითად, როგორც მათემატიკის პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, ახალი კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება. ის საჭიროებები, რომელიც გამოიკვეთა წინა წლებში შემუშავებული კურიკულუმის და შეთავაზებული კომპლექსური დავავლებების დანრგვის პროცესში.
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმარტულებით ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, სამომავლოდაც ისე დაგეგმავენ სასწავლო პროცესებს, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება
საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში იყენებენ და ზეპირსიტყვიერად უზიარებენ ერთმანეთს წინარე გამოცდილებას, თუმცა თვითშეფასების კითხვარში ჩანს სკოლის მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმების ანალიზის ერთიანი მიდგომა, რაც არსებული კურიკულუმების დახვეწაში დაეხმარებათ.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.

- უცხოური ენები: კურიკულუმები
- ინგლისური ენა-I ; II; III; IV; V; VI
- რუსული ენა-V; VI
- დანართი N 7, N56, N 57 , N58. N59
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3
- ინგლისური , შეფასების რუბრიკა. I კლ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- განმავითარებელი შეფასება , 5 კლ.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, V კლ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N-3 საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე შემუშავებული მიხედვით, მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით;
მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია იმაზე, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
ესთეტიკური კათედრის საგნობრივ პორტფოლიოებში არ იყო წარმოდგენილი პროექტის გეგმა, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ქმნიან და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. შეისწავლიან პროექტების სამოქმედო გეგმის გაწერას. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სკოლაში, დაწყებით საფეხურზე ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები, (მუზეუმებში, გალერეებში, საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას.
ინტერვიუს შედეგებით ცხადი ხდება, ტექნოლოგიების მიმართულებით , იგეგმება მოსწავლეთათვის კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, კურიკულუმი რომ გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილი მასალების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა -სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.
მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებებში სასწავლო პროცესი ხორციელდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.
უცხოური ენების კურიკულუმების თემები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტია, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. ამ სტრატეგიის გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალებების პირობებიც, რაც დადასტურდა ინტერვიუს შედეგად.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კურიკულუმების განხორციელების პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოსწავლეებთან ერთად აქცენტი გააკეთონ სწავლის სწავლაზე და მოსწავლეთა თვითშეფასებაზე.
მაგალითად, დაწყებითი საფეხურზე უცხოურ ენებში ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ნიმუშის სახით წარმოდგენილ ექსკურსიის პროექტში მოცემულია მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი, რითაც მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, მოსწავლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესრულებული დავალებების ანალიზი. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, ეს პრაქტიკა დანერგონ კომპლექსური დავალებების შესრულებისა
ასევე, ესთეტიკის კათედრის პედაგოგთა ინტერვიუდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით: პორთფოლიოები, სკოლის სასწავლო გეგმა ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი კომპეტენციები და ღირებულებები. დაწყებით საფეხურზე მუსიკის ელექტრონული (სამინისტროს) მასალა ისეა აწყობილი, რომ გრძელვადიანი საეტაპო აქტივობების ყველა ეტაპი გაწერილია და მორგებულია ცნებების (ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა, ჟანრი) შესწავლა- გათავისებაზე. შესაბამისად, მოსწავლეს, რომელსაც გავლილი აქვს საეტაპო აქტივობები და დეტალიზებული აქვს ცოდნა ცნება/ქვეცნებებთან მიმართებით, პასუხობს საკვანძო შეკითხვებს და იაზრებს დავალების მნიშვნელობას, დამოუკიდებლად მოახერხებს შეასრულოს კომპლექსური დავალება.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); რაც ასევე არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში.
მაგალითად, სახელმწიფო ენის სწავლებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.
ასევე, უცხოური ენების საგნობრივ პროგრამებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა მოსწავლის მიერ შესასრულებელ დავალებებში, მიმდინარე საკლასო აქტივობებში. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. სწორედ ამას ეფუძნება დაგეგმილი კურიკულუმები.
საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზ, , რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ხელს უწყობს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გარდა ამისა, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა, რადგან ისინი ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკას მე-3 სკოლა*
- *უცხოური ენების კურიკულუმები : ინგლისური ენა I, II , III, IV, V, VI, , რუსული ენა V, VI,*
- *დანართი 65 -ექსკურსიის პროექტი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დანართი N 86, N 87

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.
მაგალითად, უცხოური ენების პროგრამებში საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმები, მეორე მხრივ მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოკვეთილი სწორი აქცენტები და სასწავლო პროცესის გააზრებული ხედვა.
ასევე, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელების პროცესში დანერგილია კომპლექსური დავალებები, რათ უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საკითხების სწავლების პროცესში.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა რჩევა: ყველა კლასის შუალედური სასწავლო მიზნების განსაზრვრისას კათედრამ უნდა იხელმძღვანელოს მათემატიკის სტანდარტით (სადაც გაწერილია თემები კლასების მიხედვით), საკითხები/ქვესაკითხები თემის ფარგლებში და ცნებების იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნოთ უზრუნველყონ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების (სტანდარტში) გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლისთვის პრიორიტეტულია, მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, სკოლა, საგნობრივი კათედრა, ზრუნავს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. მასწავლებლების მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და თვითრეგულაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად, უცხოურ ენებში წარმოდგენილია განხორციელებული კომპლექსური დავალება „ჩემი მოგზაურობა“ (რუსული ენა), დანართი N86-ინგლისურ ენაში განხორციელებული კომპლექსური დავალება-„შეაჩერე ბულინგი“, ინგლისური ენის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა სოციო-ემოციური კეთილდღეობისა თუ იდენტობის ჩამოყალიბებისათვის გამოყენებული ისეთი აქტივობა, როგორიცაა „ მიზნების ჩანთა“ , „მადლიერების ქისა“, და სხვ, რისი დამადასტურებელი ფოტომასალაც გამოქვეყნებულია სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე.
ასევე, სპორტში პედაგოგის მიერ შემოთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ,აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა.
ტექნოლოგიების მიმართულებით , მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებში იკვეთება მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარების პრიორიტეტულობა. მომდევნო წელს დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის პედაგოგებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე,
მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის დაწყებითი საფეხურისთვის თემების მიხედვით შედგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდა და სპორტში განმავითარებელი შეფასებად აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებიც,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუს დროს ესთეტიკური აღზრდის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით. განმსაზღვრელი შეფასების შექმნისას ხელმძღვანელობენ სამიზნე ცნებების დამუშავებაზე მორგებული შაბლონით (ახსნა, ამოცნობა, შეფასების მიხედვით).
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა, რჩევა: უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მიეცეს მოსწავლეს ისეთი უკუკავშირი, რომელიც მის მხარდაჭერაზე იქნება ორიენტირებული და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე პასუხისმგებელი.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

როგორც მასწავლებელთა ინტერვიუს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ როგორც განმსაზღვრელ შეფასებას, ისე განმავითარებელ კომენტარებს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. პედაგოგები მუშაობენ შეფასების მექანიზმების ვალიდურობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობაზე და სამართლიანობაზე.
მაგალითად, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, ნათელია, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია, შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.
მათემატიკის პედაგოგთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ შეფასება ვალიდურია, ობიექტური და სამართლიანი. განმავითარებელ შეფასების დროს ეყრდნობიან თემის, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აქცენტს აკეთებენ გრძელვადიან მიზნებზე.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კათედრებზე ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების ანალიზი, თუმცა არ არსებობს გამოკვეთილი მექანიზმი, რითაც შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოხდება. სკოლა მზადაა შეიმუშაოს ვერიფიკაციის საერთო სასკოლო მექანიზმი.
სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენების კურიკულუმები , ინგლისური ენა I, II, III, IV, V, VI , რუსული ენა V, VI
- დანართი N65, N 3, N85, N 86 , N 7
- *https://www.facebook.com/groups/536309181328655*
- ინგლისურის შეფასების რუბრიკა , I კლ.
- *ინგლისური , შეფასების რუბრიკა , I კლასი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა , კომპლექსური V კლ.*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც მდგომარეობს პედაგოგთა მიერ საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, საგნობრივ კათედრათა მჭიდრო კავშირსა და ცალკეულ საკითხებზე ერთობლივ მუშაობაში. პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საჭიროების შემთხვევაში ურთიერთდახმარებისთვის მზადყოფნა სასკოლო ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამ ნარატივს ადასტურებს ურთიერთდასწრების ანგარიშები.
დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში, წახალისებულია მასწავლებლების თუ მოსწავლეების მოქმედების თავისუფლება, ჩართულობა და სკოლის განვითარებაში მონაწილეობა. პედაგოგებმა არაერთი პროექტი განახორციელეს, სადაც ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, გამოიკვეთა მათი თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის აღნიშნული გარემოს შექმნას, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორები, სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და თანამშრომლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საგნების სწავლების პროცესში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებზე. წახალისებულია მოსწავლეთა იდეები და მხარდაჭერილია მათი განხორციელება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პროექტებში ყველა მოსწავლე ერთვება ხალისით და ინტერესით.
მაგალითად, მათემატიკის მიმართულებით წარმოდგენილი მასალებით და ინტერვიუს შედეგებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, მათ ინტერესებზე და შესაძლებლობებზე მორგებულად. გამოყენებულია მულტიმოდალური მიდგომები. სკოლის მთავარი მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში და მოტივაციის ამაღლება, შუალედური მიზნის საშუალებით გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. დაწყებით კლასებში მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან საჭირო რესურსებით, სასწავლო კომპიუტერებით. მოსწავლეებთან ერთად გეგმავენ მიზნის მიღწევის გზებს .
ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს და, რომ მოსწავლეთა მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს, სკოლის ადმინისტრაციას, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობარის" პრაქტიკა. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს თანამშრომლობაზე დაფუძნებით უზიარებენ გამოცდილებასა და რჩევებს. მშობლებს, სამეურვეო საბჭოს წევრებს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას სკოლის სასწავლო პროცესში გამოყენებული მექანიზმების შესახებ; მშობლებს აქვთ ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და მომავალშიც სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრების შედეგებით ნათელი ხდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო, საგაკვეთილო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა მხრიდან გამოთქმული ყველა იდეა და მოსაზრება, ისინი იზიარებენ პასუხისმგებლობას დავალების კეთების პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ,,აღმზრდელობითი პოლიტიკა" და „სასკოლო კათედრების ფუნქციები"- რომლებიც მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3
- დანართები N 7, 58, 54, 59, 90
- *https://www.facebook.com/groups/536309181328655*.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია მომდევნო სასწავლო წლიდან, სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, განხორციელდება გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი უკუკავშირი, დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი გაკეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა შეფასება ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე, სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოვლენასა და გასწორებაზე, სკოლა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს ინსტრუმენტს .ამ ეტაპზე კი როგორც ინტერვიუზე, ისე სკოლის თვითშეფასების განაცხადზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ სკოლის მზაობა იმისთვის, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება გახდეს სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები 2023-2024 სასწავლო წლიდან გეგმავენ ურთიერთდასწრებებს, რეფლექსიებს და მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელის ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას.
მაგალითად, სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების შედეგებიდან ჩანს, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების რეფლექსია . აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებიც ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს კათედრები და დირექცია. კათედრის წევრებთან განხორციელებული შეხვედრის შემდეგ ცხადი გახდა მათი მზაობა პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მიხედვით განახორციელონ შემდგომ კურიკულუმი ცვლილება პრობლემების აღმოსაფხვრელად.

მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები განსაზღვრავენ პრობლემის გადაჭრის გზებს. კათედრის წევრები გეგმავენ, რომ მონიტორინგის და შეფასების, შედეგების ანალიზის საფუძველზე მიიღებენ გადაწყვეტილებას და გადაამუშავებენ კომპლექსურ დავალებებს, კომპლექსურის პირობას და ა. შ.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით 2023-24 სასწავლო წელს ამოქმედდება შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავდება სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს მიეცემათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3*
- *დანართი N7*
- *დანართი N91*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა ეყრდნობა სხავადასხვა ტიპის წყაროებს წყაროებს. მაგალითად, უცხოური ენების მიმართულებით, მასალებით და ინტერვიუს შედეგებით ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. უცხო ენების კათედრის წევრები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აღნიშნული პროცესის შესაფასებლად კათედრის წევრების მიერ ერთობლივად შემუშავებულია მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები
საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე აძლევენ უკუკავშირს და მითითებას, რაც მოსწავლეს ეხმარებოდა განვითარებაში. შეფასების წყაროები ნამდვილად არ არის მრავალფეროვანი. სასწავლო პროცესის შეფასების განვითარების მიზნით, მასწავლებლები მუშაობენ ურთიერთდასწრების ინსტრუმენტის შემუშავებაზე. აქვთ კომპლექსური დავალებების ანალიზის მცირე გამოცდილება, ასევე კათედრა მუშაობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკების დახვეწაზე.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, თითოეული მოსწავლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოპოვების გზით, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, სამიზნე ცნებების განვითარებაზე ორიენტირებით.
მაგალითად, მათემატიკის სწავლების დროს, მოსწავლეზე დაკვირვება ხდება სხვადასხვა კუთხით, შეფასების მიზნიდან განისაზღვრება ის კონტექსტები და ფოკუსები, რაც სჭირდებათ მოცემულ კონტექსტში. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, ხდება გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება, დაბალი აკადემიური მზაობის მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში გამოვლენილი სიძნელეების დაძლევა.
სკოლაში, დაწყებით საფეხურზე იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენება, სამიზნე ცნებების იერარქიასა და მასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და პედაგოგებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესის შეფასებისთვის 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავენ, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას მონაცემთა შესაგროვებლად, როგორიცაა მოსწავლეებისგან უკუკავშირი, ურთიერთშეფასება, მინიტორინგის და ანალიზის ჯგუფის შეფასება და ა. შ. აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მაგალითად, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა შეფასების მიზნით შეაგროვოს, მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. დაწყებით საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერვიუშიც, პედაგოგებმა , გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასების პროცესში ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს. უცხო ენების კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ სწავლა -სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. მასწავლებლები აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ, ერთობლივად შემუშავებული მიდგომების გამოყენებით შეფასება განხორციელდება 2023-2024 სასწავლო წელს.
ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია შეფასების ნიმუში-განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხებზე) იკითხება, რომ კათედრაზე მიმდინარეობს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარება, ინერგება შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა N 3*
- *დანართი N 7, N 78, N 3*
- *ინგლისური შეფასების რუბრიკა, I კლასი*
- *განმავითარებელი შეფასება, V კლასი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში მუშავდება მექანიზმები კურიკულუმის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის უზრუნველსაყოფად. მონაცემების ინფორმაციის შეჯერების, დამუშავებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით სკოლა შექმნის სამუშაო ჯგუფს, მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
მაგალითად, სკოლის უცხო ენების კათედრის წევრები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე, დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილებას გამოიყენებენ ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში,
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის გადამუშავებული საგნობრივი კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.
მაგალითად, როგორც უცხოური ენის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს დაწყებითი საფეხურის ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ, ახალი კურიკულუმის შედგენისას შეირჩა ისეთი კომპლექსურები, რომელთა შესრულება, განხორციელება შეძლეს მოსწავლეებმა და ხალისით ჩაერთნენ განხორციელების პროცესში. პროცესის მონიტორინგის და შეფასებისთვის სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში შექმნას პროცესის შეფასების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც დააკვირდება კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესს, გაწერს პროცესის შეფასებას, რეკომენდაციებს.
დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აღნიშნავენ რომ კურიკულუმის გადამუშავების დროს იყენებენ გამოცდილებას, ურთიერთგაზიარებით მიღებულ კომენტარებს, მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამჟამად კათედრის წევრები მუშაობენ მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაზე, რომელსაც გამოიყენებენ კურიკულუმის განვითარებისთვის.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა N 3;*
- *დანართი N91*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საბაზისო ფეხური სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N-3 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი შემუშავებისას გათვალისწინებულია, როგორც არსებული ცოდნა და გამოცდილება, ასევე მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერესები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპლექსური დავალების შედგენის დროს მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინება. კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მიდგომები ნათლად აჩვენებს, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი, შეხედულება, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, განსაკუთრებით კი მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.
ყველა საგანთან მიმართებაში, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სასკოლო საზოგადოების ინტერესის გათვალისწინების მიზნით, მასწავლებლები მშობელთა კრებებზე ისმენენ მათ მოსაზრებებს განხორციელებულ კომპლექსურებზე, ასევე პედაგოგები იკრიბებიან და მსჯელობენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების შედეგებზე. გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, პრიორიტეტულია მოსწავლეებთან აქტიური თანამშრომლობა, მათი საჭიროებების დადგენა; მშობელთა ინფორმირებულობას სკოლის მისიის, სასკოლო კურიკულუმის, საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, მათთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირის მიღება (რამდენად შეძლეს სკოლის კურიკულუმების საკუთარ პრიორიტეტებთან თანხვედრის დანახვა); კათედრების ინფორმირებულობა სიახლეების შესახებ და მათი ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში; ესთეტიკის მიმართულების პედაგოგებმა. მაგალითად , ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ კარგად აქვთ გათავისებული სკოლის, თემის საჭიროება და სასწავლო გეგმებს შექმნიან სოციუმის ინტერესების გათვალისწინებით.
აღსანიშნავია, რომ საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, მათი იდეები კათედრაზე შეთანხმებულად შეირჩა, კათედრის წევრები დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გარდა ამისა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებით, მათ ნარატივს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
ყველა საგანთან მიმართებაში, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სამუშაო პროცესში და დოკუმენტების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების აქტიური თანამშრომლობით. მუშაობის პროცესი პედაგოგებმა გამოიყენეს წინარე გამოცდილება, იხელმძღვანელეს კურიკულუმის გასული წლის მასალებით. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადების - მასწავლებლების მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. გასაუბრების შედეგებიდან ჩანს, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს და მშობლების მოსაზრებებს. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ ისინი აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებაც და შეხედულებებს, რის საფუძველზეც ავითარებენ კომპლექსურ დავალებებს. კათედრის წევრები მსჯელობენ კომპლექსური დავალებების შედგენის დროს, მოსწავლეებს რა უჭირთ, რა უფრო ეხალისებათ. საბოლოოდ, კურიკულუმებს წარუდგენენ ადმინისტრაციას. ნათელია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის წევრთა მაღალი ჩართულობით.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის გაზიარებული არის სასკოლო საზოგადოების მიერ. მაგალითად, სკოლის უცხო ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალები აღიქმება, როგორც კათედრის თითოეული წევრის სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. მათთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ უცხო ენების მასწავლებლებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, რაც დაფუძნებულია იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მათ აქვთ კურიკულუმის შემუშავება-დანერგვის პროცესთან მიმართებაში, მათ შორის სადამრიგებლო საათის თუ მშობელთა კრების სახით მოსწავლეებთან თუ მშობლებთან გაზიარება-თანამშრომლობის თვალსაზრისით. ასევე, ესთეტიკური აღზრდის კათედრის პედაგოგებმა, ინტერვიურების პროცესში აღნიშნეს, რომ მშობელთა ჩართულობისათვის მოაწყობენ შეხვედრებს, ჩაატარებენ ღია გაკვეთილებს, გამოიყენებენ კომპლექსური დავალების ბარათებს, თანდართული სრულფასოვანი ინსტრუქციებით, რომელთა შაბლონები წარმოადგინეს ავტორიზაციის პროცესში. ღია გაკვეთილებზე მოიწვევენ სკოლის დირექციას, კოლეგებს და მშობლებს და სასკოლო საზოგადოებას ამგვარად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაუზიარებენ სასწავლო აქტივობებს. ერთ-ერთ ინფორმაციის მიღება-გაცვლის წყაროდ დასახელდა დამრიგებლის მიერ ორგანიზებული მშობელთა კრებები. სკოლამ შექმნა ვებ-გვერდი და აქტიურად გეგმავს გამოყენებას სიახლეების გასაცნობად. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *კურიკულუმები , უცხო ენა, საბაზო საფეხური*
- *დანართი N7*
- *დანართი N31- თვითმმართველობის ოქმი;*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა*
- *დანართი N34-მოსწავლის მშობლის ხელშეკრულება*
- *.დანართი N40- მშობელთა კრების*

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ საფუძველზე იკვეთება სკოლის მზაობა სწავლის პროცესი განხილულ იქნეს როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს; მოსწავლე მოიაზრება, როგორც სწავლა-სწავლების აქტიური სუბიექტი. მაგალითად, საბაზო საფეხურზე უცხოურ ენებში წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ცნებების საშუალებით კი გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები.
მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები ითვალისწინებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს, რაც დასტურდება ერთმხრივ რომ კურიკულუმები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად არის აგებული. ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გეგმავენ კეთებით სწავლებაზე დაფუძნებულ გაკვეთილებს. ითვალისწინებენ, მოსწავლეებს რა უჭირთ, რა უფრო ეხალისებათ. მომდევნო სასწავლო წლისთვის აკეთებენ ანალიზს მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებებიდან გამომდინარე.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს როგორ შეიძლება სამიზნე ნიშნულამდე მისვლა, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის. შემოთავაზებული კომპლექსური დავალების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითის, კომუნიკაციის უნარების განვითარებას.
მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების შექმნისას გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრულია მისაღწევი შედეგები, რაც გულისხმობს იმას, რომ სკოლაში კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლები იაზრებენ, გეგმავენ და ცდილობენ მოსწავლეებში განავითარონ შემოქმედებითი, კრიტიკულ აზროვნების, კომუნიკაციის, მოქალაქეობრივი, ნებელობითი უნარები კომპლექსური და პროექტული სწავლების გზით. დავალებები მიემართება სამიზნე ცნებების, ქვეცნებების და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენები
ესთეტიკის მიმართულებით შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. წარმოდგენილ ჩარჩოებში გამოიკვეთა შეცდომები, რომელთა ნაწილობრივი ჩასწორება მოხერხდა. მაგ: ხელოვნების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში თემატური ბლოკები მოცემული იყო შეცდომით (დაწყებითი საფეხურის), რაც გაითვალისწინეს და ჩასწორდა. ცნებები დასაზუსტებელი იყო მოცემულ საკითხებთან კონტექსტში (ჩასწორდა); კონტექსტ მაგალითები დაკონკრეტდა კომპლექსური დავალების იდეის შესაბამისად. მე-8, მე-9 კლასში, განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობა დაზუსტდა. მუსიკის საგანში, საბაზო საფეხურის კურიკულუმები აგებულია სამინისტროს მასალასა და სახელმძღვანელოზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები გამართულია.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას.
მაგალითად, უცხოური ენების მიმართულებით, საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე სასწავლო გარემო და სტრატეგიები ისეთი სახით არის ორგანიზებული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. მასწავლებლები იცნობენ ინკლუზიური განათლების პრინციპებს და ითვალისწინებენ მუშაობისას (დანართები N7; N56; N58; N59), მათთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი თითოეულ მოსწავლეს განიხილავენ როგორც უნიკალურს თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით, ახდენენ სხვადასხვა აქტივობის მოდიფიცირებას, საჭიროებისამებრ ცვლიან გარემოს, დავალებებს, პროდუქტს და ა.შ.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, სკოლაში გვაქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის მიხედვითაც ასწავლიან სსსმ მოსწავლეს, თუმცა არ არის სრულყოფილი ფორმა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა დავალება და აქტივობა. გამოიკვეთა მზაობა სკოლამ დახვეწოს აღნიშნული ფორმა.
სხვადასხვა საგნობრივ მიმართულებებში, მაგ. საზოგადოებრივ მეცნიერებში, ესთეტიკურ აღზრდაში სკოლას განზრახული აქვს უფრო სრულყოფილი მექანიზმების შექმნა. კათედრების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ისეთი საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, სადაც სწავლის სწავლაზე იქნება აქცენტი გადატანილი და პროექტული სწავლების დანერგვის შემთხვევაშიც, სწავლის სწავლაზე გამახვილდება ყურადღება.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ სხვადასხვა საგანში წარმოდგენილი იქნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებებს).
სკოლამ, კონტექსტ-მაგალითზე დაყრდნობით, წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საზოგადოებრივ მეცნიერებებში. წარმოდგენილი რუბრიკები მიემართება საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებებს). განხილულია სამიზნე ცნებები და ცნებასთან მიმართებაში წარმოდგენილი არის თუ რა უნდა შეძლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.
მაგალითად, ესთეტიკის მიმართულებით, კათედრების მიხედვით შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შეირჩა განმსაზღვრელი შეფასების იგივე მოდელი. ესთეტიკური აღზრდის კათედრამ ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინა საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მორგებულია შესასწავლ თემებსა და საკითხებზე და ჩანს გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე შემუშავებული ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგ შემთხვევაში მათ გაითვალისწინეს მოსწავლეთა მიღწეული შედეგი და ისე დაგეგმეს სასწავლო პროცესი, თუმცა იმისთვის, რომ ეს პროცესი მათი მუშაობის თანამდევი ნაწილი გახდეს, ისინი გეგმავენ სექტემბრისათვის კონკრეტული ფორმის შემუშავებას, რაც ანალიზის გაკეთებაში და არსებული კურიკულუმების გაუმჯობესებაში დაეხმარება.
საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში იყენებენ და ზეპირსიტყვიერად უზიარებენ ერთმანეთს წინარე გამოცდილებას, თუმცა თვითშეფასების კითხვარში ჩანს სკოლის მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმების ანალიზის ერთიანი მიდგომა, რაც არსებული კურიკულუმების დახვეწაში დაეხმარებათ.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.

- უცხოური ენები: კურიკულუმები, საბაზო საფეხური
- *დანართი N 7, N56, N58. N59*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა რუსულ ენაში 8 კლ*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა 8 კლასის კომპლექსური დავალება*
- *ინგლისური, სოლო ტაქსონომია, VIII კლასი*
- *ინგლისური, განმსაზღვრელი შეფასება VIII*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის განხორციელება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N-3 საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე შემუშავებული მიხედვით, მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით;
მაგალითად, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, VII-IX კლასის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილი და მოწყობილი სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები, იძლევა სწავლების თავისუფალი არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.
ესთეტიკური კათედრის საგნობრივ პორტფოლიოებში არ იყო წარმოდგენილი პროექტის გეგმა, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ქმნიან და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. შეისწავლიან პროექტების სამოქმედო გეგმის გაწერას. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სკოლაში, საბაზო საფეხურზე ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები, (მუზეუმებში, გალერეებში, საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, კურიკულუმი რომ გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილი მასალების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა -სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად, საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელების პროცესში კათედრის წევრები აკეთებენ კომპლექსური დავალებების ანალიზს, მოსწავლეთა დადებითი და უარყოფითი მხარეების გააზრებას და მასზე დაყრდნობით ახორციელებენ კომპლექსური დავალებების სწორად დაგეგმვას და განხორციელებას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ გონებრივი იერიში ეხმარებათ მოსწავლეთა ახალი ცოდნა დააშენონ არსებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე.
უცხოური ენების კურიკულუმების თემები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტია, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. ამ სტრატეგიის გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალებების პირობებიც, რაც დადასტურდა ინტერვიუს შედეგად.
კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კურიკულუმების განხორციელების პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოსწავლეებთან ერთად აქცენტი გააკეთონ სწავლის სწავლაზე და მოსწავლეთა თვითშეფასებაზე.
მაგალითად, ესთეტიკის კათედრის პედაგოგთა ინტერვიუდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით: პორთფოლიოები, სკოლის სასწავლო გეგმა ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი კომპეტენციები და ღირებულებები. საბაზო საფეხურზე მუსიკის ელექტრონული (სამინისტროს) მასალა ისეა აწყობილი, რომ გრძელვადიანი საეტაპო აქტივობების ყველა ეტაპი გაწერილია და მორგებულია ცნებების (ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა, ჟანრი) შესწავლა- გათავისებაზე. შესაბამისად, მოსწავლეს, რომელსაც გავლილი აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საეტაპო აქტივობები და დეტალიზებული აქვს ცოდნა ცნება/ქვეცნებებთან მიმართებით, პასუხობს საკვანძო შეკითხვებს და იაზრებს დავალების მნიშვნელობას, დამოუკიდებლად მოახერხებს შეასრულოს კომპლექსური დავალება.
ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); რაც ასევე არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში.
მაგალითად, უცხოური ენების საგნობრივ პროგრამებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა მოსწავლის მიერ შესასრულებელ დავალებებში, მიმდინარე საკლასო აქტივობებში. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. სწორედ ამას ეფუძნება დაგეგმილი კურიკულუმები.
სკოლაში კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გარდა ამისა, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა, რადგან ისინი ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკას მე-3 სკოლა*
- *უცხოური ენების კურიკულუმები : საბაზო საფეხური*
- *დანართი 65 -ექსკურსიის პროექტი*
- დანართი N 86, N 87

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.
მაგალითად, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის შენებას თანმიმდევრობით. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუადვილებს ახალი აქტივობების გააზრებას და შესწავლას.
ასევე, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელების პროცესში დანერგილია კომპლექსური დავალებები, რათ უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საკითხების სწავლების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლისთვის პრიორიტეტულია, მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, სკოლა, საგნობრივი კათედრა, ზრუნავს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. მასწავლებლების მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და თვითრეგულაციას.
მაგალითად, უცხოურ ენებში წარმოდგენილია განხორციელებული კომპლექსური დავალება „ჩემი მოგზაურობა“ (რუსული ენა) , დანართი N86-ინგლისურ ენაში განხორციელებული კომპლექსური დავალება-„შეაჩერე ბულინგი“, ინგლისური ენის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა სოციო-ემოციური კეთილდღეობისა თუ იდენტობის ჩამოყალიბებისათვის გამოყენებული ისეთი აქტივობა, როგორიცაა გაკვეთილი-„მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“, დანართი N65-ექსკურსიის პროექტი - „გაიცანი შენი რეგიონი“ და სხვ, რისი დამადასტურებელი ფოტომასალაც გამოქვეყნებულია სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე.
ასევე, სპორტში პედაგოგის მიერ შემოთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ,აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის პედაგოგებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე,
მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურისთვის თემების მიხედვით შედგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდა და სპორტში განმავითარებელი შეფასებად აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებიც,
ინტერვიუს დროს ესთეტიკური აღზრდის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით. განმსაზღვრელი შეფასების შექმნისას ხელმძღვანელობენ სამიზნე ცნებების დამუშავებაზე მორგებული შაბლონით (ახსნა, ამოცნობა, შეფასების მიხედვით).
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

როგორც მასწავლებელთა ინტერვიუს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ როგორც განმსაზღვრელ შეფასებას, ისე განმავითარებელ კომენტარებს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. პედაგოგები მუშაობენ შეფასების მექანიზმების ვალიდურობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობაზე და სამართლიანობაზე.
მაგალითად, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, ნათელია, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია, შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის დახვეწა, კიდევ ახალი რუბრიკების შექმნა შერჩეული თემების მიხედვით, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური,
საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის, სანდოობის, ვალუდურიბის და ობიექტურების ბოლომდე შეფასების საშუალებას, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ,
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კათედრებზე ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების ანალიზი, თუმცა არ არსებობს გამოკვეთილი მექანიზმი, რითაც შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოხდება. სკოლა მზადაა შეიმუშაოს ვერიფიკაციის საერთო სასკოლო მექანიზმი.
სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენების კურიკულუმები , საბაზო საფეხური
- დანართი N65, N 3, N85, N 86 , N 7
- *https://www.facebook.com/groups/536309181328655*
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა რუსულ ენაში
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა VIII კლასი*
- *კომპლექსური დავალება*
- *ინგლისური , სოლო ტაქსონომია , VIII კლასი*
- *ინგლისური განმსაზღვრელი შეფასება VIII კლასი*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც მდგომარეობს პედაგოგთა მიერ საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, საგნობრივ კათედრათა მჭიდრო კავშირსა და ცალკეულ საკითხებზე ერთობლივ მუშაობაში. პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საჭიროების შემთხვევაში ურთიერთდახმარებისთვის მზადყოფნა სასკოლო ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამ ნარატივს ადასტურებს ურთიერთდასწრების ანგარიშები.
საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში, წახალისებულია მასწავლებლების თუ მოსწავლეების მოქმედების თავისუფლება, ჩართულობა და სკოლის განვითარებაში მონაწილეობა. პედაგოგებმა არაერთი პროექტი განახორციელეს, სადაც ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, გამოიკვეთა მათი თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარები.
ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის აღნიშნული გარემოს შექმნას, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორები, სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საგნების სწავლების პროცესში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებზე. წახალისებულია მოსწავლეთა იდეები და მხარდაჭერილია მათი განხორციელება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პროექტებში ყველა მოსწავლე ერთვება ხალისით და ინტერესით.
უცხოური ენების მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც ამის დასტურია. ინტერვიუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ ყველა მოსწავლეს ეძლევა საშუალება ჩაერთოს სასწავლო პროცესში თავისი შესაძლებლობის მიხედვით და მოახდინოს თვითრეალიზაცია.

ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს და, რომ მოსწავლეთა მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს, სკოლის ადმინისტრაციას, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობარის" პრაქტიკა. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს თანამშრომლობაზე დაფუძნებით უზიარებენ გამოცდილებასა და რჩევებს. მშობლებს, სამეურვეო საბჭოს წევრებს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას სკოლის სასწავლო პროცესში გამოყენებული მექანიზმების შესახებ; მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და მომავალშიც სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო, საგაკვეთილო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა მხრიდან გამოთქმული ყველა იდეა და მოსაზრება, ისინი იზიარებენ პასუხისმგებლობას დავალებების კეთების პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ,,აღმზრდელობითი პოლიტიკა" და „სასკოლო კათედრების ფუნქციები"- რომლებიც მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იმ საკითხებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3
- დანართები N 7, 58, 54, 59, 90
- *https://www.facebook.com/groups/536309181328655*.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია მომდევნო სასწავლო წლიდან, სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, განხორციელდება გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი უკუკავშირი, დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი გაკეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე, სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოვლენასა და გასწორებაზე, სკოლა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს ინსტრუმენტს .ამ ეტაპზე კი როგორც ინტერვიუზე, ისე სკოლის თვითშეფასების განაცხადზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ სკოლის მზაობა იმისთვის, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება გახდეს სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებლები 2023-2024 სასწავლო წლიდან გეგმავენ ურთიერთდასწრებებს, რეფლექსიებს და მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელის ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას.
სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების შედეგებიდან ჩანს, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების რეფლექსია . აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებიც ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს კათედრები და დირექცია. კათედრის წევრებთან განხორციელებული შეხვედრის შემდეგ ცხადი გახდა მათი მზაობა პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მიხედვით განახორციელონ შემდგომ კურიკულუმი ცვლილება პრობლემების აღმოსაფხვრელად.

მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები განსაზღვრავენ პრობლემის გადაჭრის გზებს. კათედრის წევრები გეგმავენ, რომ მონიტორინგის და შეფასების, შედეგების ანალიზის საფუძველზე მიიღებენ გადაწყვეტილებას და გადაამუშავებენ კომპლექსურ დავალებებს, კომპლექსურის პირობას და ა. შ.
სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით 2023-24 სასწავლო წელს ამოქმედდება შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავდება სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს მიეცემათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *დანართი N7*
- *დანართი N91*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა ეყრდნობა სხავადასხვა ტიპის წყაროებს წყაროებს. მაგალითად, უცხოური ენების მიმართულებით, მასალებით და ინტერვიუს შედეგებით ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. უცხო ენების კათედრის წევრები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აღნიშნული პროცესის შესაფასებლად კათედრის წევრების მიერ ერთობლივად შემუშავებულია მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე აძლევენ უკუკავშირს და მითითებას, რაც მოსწავლეს ეხმარებოდა განვითარებაში. თუმცა შეფასების წყაროები ნამდვილად არ არის მრავალფეროვანი. სასწავლო პროცესის შეფასების განვითარების მიზნით, მასწავლებლები მუშაობენ ურთიერთდასწრების ინსტრუმენტის შემუშავებაზე. აქვთ კომპლექსური დავალებების ანალიზის მცირე გამოცდილება, ასევე კათედრა მუშაობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკების დახვეწაზე.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, თითოეული მოსწავლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოპოვების გზით, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, სამიზნე ცნებების განვითარებაზე ორიენტირებით.
სკოლაში საბაზო საფეხურზე იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენება, სამიზნე ცნებების იერარქიასა და მასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და პედაგოგებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესის შეფასებისთვის 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავენ, მრავალფეროვანი მეთოდების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოყენებას მონაცემთა შესაგროვებლად, როგორიცაა მოსწავლეებისგან უკუკავშირი, ურთიერთშეფასება, მინიტორინგის და ანალიზის ჯგუფის შეფასება და ა. შ. აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მაგალითად, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა შეფასების მიზნით შეაგროვოს, მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. საბაზო საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერვიუშიც, პედაგოგებმა , გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასების პროცესში ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს. უცხო ენების კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ სწავლა -სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. მასწავლებლები აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ, ერთობლივად შემუშავებული მიდგომების გამოყენებით შეფასება განხორციელდება 2023-2024 სასწავლო წელს.
ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია შეფასების ნიმუში-განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხებზე) იკითხება, რომ კათედრაზე მიმდინარეობს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარება, ინერგება შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა N 3*
- *დანართი N 7, N 78, N 3*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში მუშავდება მექანიზმები კურიკულუმის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის უზრუნველსაყოფად. მონაცემების ინფორმაციის შეჯერების, დამუშავებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით სკოლა შექმნის სამუშაო ჯგუფს, მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
მაგალითად, სკოლის უცხო ენების კათედრის წევრები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე, დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილებას გამოიყენებენ ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში,
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის გადამუშავებული საგნობრივი კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.
მაგალითად, როგორც უცხოური ენის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ, ახალი კურიკულუმის შედგენისას შეირჩა ისეთი კომპლექსურები, რომელთა შესრულება, განხორციელება შეძლეს მოსწავლეებმა და ხალისით ჩაერთნენ განხორციელების პროცესში. პროცესის მონიტორინგის და შეფასებისთვის სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში შექმნას პროცესის შეფასების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც დააკვირდება კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესს, გაწერს პროცესის შეფასებას, რეკომენდაციებს.
საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აღნიშნავენ რომ კურიკულუმის გადამუშავების დროს იყენებენ გამოცდილებას, ურთიერთგაზიარებით მიღებულ კომენტარებს, მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამჟამად კათედრის წევრები მუშაობენ მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაზე, რომელსაც გამოიყენებენ კურიკულუმის განვითარებისთვის
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3;*
- *დანართი N91*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საშუალოსა ფეხურის სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N-3 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი შემუშავებისას გათვალისწინებულია, როგორც არსებული ცოდნა და გამოცდილება, ასევე მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერესები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპლექსური დავალების შედგენის დროს მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინება. კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მიდგომები ნათლად აჩვენებს, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი, შეხედულება, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, განსაკუთრებით კი მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.
ყველა საგანთან მიმართებაში, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სასკოლო საზოგადოების ინტერესის გათვალისწინების მიზნით, მასწავლებლები მშობელთა კრებებზე ისმენენ მათ მოსაზრებებს განხორციელებულ კომპლექსურებზე, ასევე პედაგოგები იკრიბებიან და მსჯელობენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების შედეგებზე. გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, პრიორიტეტულია მოსწავლეებთან აქტიური თანამშრომლობა, მათი საჭიროებების დადგენა; მშობელთა ინფორმირებულობას სკოლის მისიის, სასკოლო კურიკულუმის, საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, მათთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირის მიღება (რამდენად შეძლეს სკოლის კურიკულუმების საკუთარ პრიორიტეტებთან თანხვედრის დანახვა); კათედრების ინფორმირებულობა სიახლეების შესახებ და მათი ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში;
აღსანიშნავია, რომ საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, მათი იდეები კათედრაზე შეთანხმებულად შეირჩა, კათედრის წევრები დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გარდა ამისა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებით, მათ ნარატივს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
ყველა საგანთან მიმართებაში, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სამუშაო პროცესში და დოკუმენტების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივი კათედრების აქტიური თანამშრომლობით. მუშაობის პროცესი პედაგოგებმა გამოიყენეს წინარე გამოცდილება, იხელმძღვანელეს კურიკულუმის გასული წლის მასალებით. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადების - მასწავლებლების მიერ მესამე თაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. გასაუბრების შედეგებიდან ჩანს, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს და მშობლების მოსაზრებებს. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ ისინი აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებაც და შეხედულებებს, რის საფუძველზეც ავითარებენ კომპლექსურ დავალებებს. კათედრის წევრები მსჯელობენ კომპლექსური დავალებების შედგენის დროს, მოსწავლეებს რა უჭირთ, რა უფრო ეხალისებათ. საბოლოოდ, კურიკულუმებს წარუდგენენ ადმინისტრაციას. ნათელია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის წევრთა მაღალი ჩართულობით.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის გაზიარებული არის სასკოლო საზოგადოების მიერ. მაგალითად, სკოლის უცხო ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალები აღიქმება, როგორც კათედრის თითოეული წევრის სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. მათთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ უცხო ენების მასწავლებლებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, რაც დაფუძნებულია იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მათ აქვთ კურიკულუმის შემუშავება-დანერგვის პროცესთან მიმართებაში, მათ შორის სადამრიგებლო საათის თუ მშობელთა კრების სახით მოსწავლეებთან თუ მშობლებთან გაზიარება-თანამშრომლობის თვალსაზრისით. ასევე, ესთეტიკური აღზრდის კათედრის პედაგოგებმა, ინტერვიურების პროცესში აღნიშნეს, რომ მშობელთა ჩართულობისათვის მოაწყობენ შეხვედრებს, ჩაატარებენ ღია გაკვეთილებს, გამოიყენებენ კომპლექსური დავალების ბარათებს, თანდართული სრულფასოვანი ინსტრუქციებით, რომელთა შაბლონები წარმოადგინეს ავტორიზაციის პროცესში. ღია გაკვეთილებზე მოიწვევენ სკოლის დირექციას, კოლეგებს და მშობლებს და სასკოლო საზოგადოებას ამგვარად გაუზიარებენ სასწავლო აქტივობებს. ერთ-ერთ ინფორმაციის მიღება-გაცვლის წყაროდ დასახელდა დამრიგებლის მიერ ორგანიზებული მშობელთა კრებები. სკოლამ შექმნა ვებ-გვერდი და აქტიურად გეგმავს გამოყენებას სიახლეების გასაცნობად.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *კურიკულუმები-ინგლისური ენა , რუსული ენა , საშუალო საფეხური*
- *დანართი N7*
- *დანართი N31- თვითმმართველობის ოქმი;*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა N 3*
- *დანართი N34-მოსწავლის მშობლის ხელშეკრულება*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ საფუძველზე იკვეთება სკოლის მზაობა სწავლის პროცესი განხილულ იქნეს როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს; მოსწავლე მოიაზრება, როგორც სწავლა-სწავლების აქტიური სუბიექტი. მაგალითად, საშუალო საფეხურზე უცხოურ ენებში წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ცნებების საშუალებით კი გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები.
მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები ითვალისწინებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს, რაც დასტურდება ერთმხრივ რომ კურიკულუმები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად არის აგებული. ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გეგმავენ კეთებით სწავლებაზე დაფუძნებულ გაკვეთილებს. ითვალისწინებენ, მოსწავლეებს რა უჭირთ, რა უფრო ეხალისებათ. მომდევნო სასწავლო წლისთვის აკეთებენ ანალიზს მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებებიდან გამომდინარე.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს როგორ შეიძლება სამიზნე ნიშნულამდე მისვლა, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის. შემოთავაზებული კომპლექსური დავალების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითის, კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების შექმნისას გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრულია მისაღწევი შედეგები, რაც გულისხმობს იმას, რომ სკოლაში კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლები იაზრებენ, გეგმავენ და ცდილობენ მოსწავლეებში განავითარონ შემოქმედებითი, კრიტიკულ აზროვნების, კომუნიკაციის, მოქალაქეობრივი, ნებელობითი უნარები კომპლექსური და პროექტული სწავლების გზით. დავალებები მიემართება სამიზნე ცნებების, ქვეცნებების და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენები.

უცხოური ენების მიმართულებით, საგნობრივი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს როგორ შეიძლება სამიზნე ნიშნულამდე მისვლა, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის. შემოთავაზებული კომპლექსური დავალების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითის, კომუნიკაციის უნარების განვითარებას. არაფორმალური განათლება ავსებს და აძლიერებს ფორმალურს- აღსანიშნავია XII კლასში ჩატარებული კლასის საათი-„ჩემი მომავალი პროფესია-როგორ მესახება იგი მე?“. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იაზრებენ კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობას და აქვთ მზაობა იმუშაონ მათ დახვეწაზე. ინდიკატორი ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას.

მაგალითად, სახელმწიფო ენის მიმართულებით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებისათვის, საჭიროებისამებრ, ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, სკოლაში გვაქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის მიხედვითაც ასწავლიან სსსმ მოსწავლეს, თუმცა არ არის სრულყოფილი ფორმა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა დავალება და აქტივობა. გამოიკვეთა მზაობა სკოლამ დახვეწოს აღნიშნული ფორმა.
სხვადასხვა საგნობრივ მიმართულებებში, მაგ. საზოგადოებრივ მეცნიერებში, ესთეტიკურ აღზრდაში სკოლას განზრახული აქვს უფრო სრულყოფილი მექანიზმების შექმნა. კათედრების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ისეთი საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, სადაც სწავლის სწავლაზე იქნება აქცენტი გადატანილი და პროექტული სწავლების დანერგვის შემთხვევაშიც, სწავლის სწავლაზე გამახვილდება ყურადღება.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ სხვადასხვა საგანში წარმოდგენილი იქნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებებს).
სკოლამ, კონტექსტ-მაგალითზე და კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით, წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საზოგადოებრივ მეცნიერებებში. წარმოდგენილი რუბრიკები მიემართება საგნების მიხედვით გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებებს). განხილულია სამიზნე ცნებები და ცნებასთან მიმართებაში წარმოდგენილი არის თუ რა უნდა შეძლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.
მაგალითად, ესთეტიკის მიმართულებით, კათედრების მიხედვით შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სამკომპონენტიან განმსაზღვრელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასებას. მომდევნო სასწავლო წლისთვის(2023-2024) შეირჩა განმსაზღვრელი შეფასების იგივე მოდელი. ესთეტიკური აღზრდის კათედრამ ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინა საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მორგებულია შესასწავლ თემებსა და საკითხებზე და ჩანს გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას.
საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგ შემთხვევაში მათ გაითვალისწინეს მოსწავლეთა მიღწეული შედეგი და ისე დაგეგმეს სასწავლო პროცესი, თუმცა იმისთვის, რომ ეს პროცესი მათი მუშაობის თანამდევი ნაწილი გახდეს, ისინი გეგმავენ სექტემბრისათვის კონკრეტული ფორმის შემუშავებას, რაც ანალიზის გაკეთებაში და არსებული კურიკულუმების გაუმჯობესებაში დაეხმარება.
საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.

- უცხოური ენები: კურიკულუმები, საშუალო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *დანართი N 7, N56, N58. N59*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N-3 საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული მიხედვით, მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით;
მაგალითად, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, VII-IX კლასის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილი და მოწყობილი სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები, იძლევა სწავლების თავისუფალი არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.
ესთეტიკური კათედრის საგნობრივ პორტფოლიოებში არ იყო წარმოდგენილი პროექტის გეგმა, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ქმნიან და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. შეისწავლიან პროექტების სამოქმედო გეგმის გაწერას. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სკოლაში, საშუალო საფეხურზე ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები, (მუზეუმებში, გალერეებში, საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, კურიკულუმი რომ გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილი მასალების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა -სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.
მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებებში სასწავლო პროცესი ხორციელდება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.
უცხოური ენების კურიკულუმების თემები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტია, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. ამ სტრატეგიის გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალებების პირობებიც, რაც დადასტურდა ინტერვიუს შედეგად.
კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კურიკულუმების განხორციელების პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოსწავლეებთან ერთად აქცენტი გააკეთონ სწავლის სწავლაზე და მოსწავლეთა თვითშეფასებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად, ესთეტიკის კათედრის პედაგოგთა ინტერვიუდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით: პორთფოლიოები, სკოლის სასწავლო გეგმა ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი კომპეტენციები და ღირებულებები. მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილ ხელოვნების მე-10 კლასის კურიკულუმში ჩანს პროექტის ისეთი იდეები, სადაც პედაგოგს და მოსწავლეებს დასჭირდებათ მრავალფეროვანი სტრატეგიების და აქტივობების შემუშავება, დაგეგმილი დავალებების განსახორციელებლად, რაც მოსწავლეებს შესძენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოცდილების გაუმჯობესების საშუალებას.
ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); რაც ასევე არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში.
მაგალითად, უცხოური ენების საგნობრივ პროგრამებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა მოსწავლის მიერ შესასრულებელ დავალებებში, მიმდინარე საკლასო აქტივობებში. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. სწორედ ამას ეფუძნება დაგეგმილი კურიკულუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გარდა ამისა, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა, რადგან ისინი ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკას მე-3 სკოლა*
- *უცხოური ენების კურიკულუმები : საშუალო საფეხური*
- *დანართი 65 -ექსკურსიის პროექტი*
- დანართი N 86, N 87

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად,სახელმწიფო ენის სწავლების პროცესი ორიენტირებულია სამიზნე ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებზე და ხორციელდება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების განხორციელებისკენ.
ასევე, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელების პროცესში დანერგილია კომპლექსური დავალებები, რათ უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საკითხების სწავლების პროცესში.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლისთვის პრიორიტეტულია, მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, სკოლა, საგნობრივი კათედრა, ზრუნავს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. მასწავლებლების მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და თვითრეგულაციას.
მაგალითად, უცხოურ ენებში მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფორმალური და არაფორმალური აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ მოსწავლემ გამოხატოს თავისი ინტერესი, ისწავლოს აზრის კორექტულად გამოთქმა, ემპათია სხვისი მოსაზრების მიმართ, ეფექტური კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე. კათედრის მიერ წარმოდგენილია განხორციელებული პროექტი „გაიცანი შენი რეგიონი“, კლასის საათი თემაზე „ჩემი მომავალი პროფესია, როგორ მესახება ის მე?“, პროექტი „ვზრუნავთ მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობაზე“, ვიქტორინა „მოაზროვნე მომავალი“ რისი დამადასტურებელი ფოტომასალაც გამოქვეყნებულია სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე.
ასევე, სპორტში პედაგოგის მიერ შემოთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ,აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის პედაგოგებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე,
მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურისთვის თემების მიხედვით შედგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდა და სპორტში განმავითარებელი შეფასებად აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებიც,
ინტერვიუს დროს ესთეტიკური აღზრდის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, პროექტული სწავლებისას, კათედრა ხელმძღვანელობს სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემული შეფასების რუბრიკებით, თითოეულ პროექტის იდეასთან მიმართებით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელი შეფასების შექმნისას ისინი ორიენტირებული არიან სამიზნე ცნების დამუშავებაზე. ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

როგორც მასწავლებელთა ინტერვიუს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ როგორც განმსაზღვრელ შეფასებას, ისე განმავითარებელ კომენტარებს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. პედაგოგები მუშაობენ შეფასების მექანიზმების ვალიდურობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობაზე და სამართლიანობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, ნათელია, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია, შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.
ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის დახვეწა, კიდევ ახალი რუბრიკების შექმნა შერჩეული თემების მიხედვით, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური,
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კათედრებზე ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების ანალიზი, თუმცა არ არსებობს გამოკვეთილი მექანიზმი, რითაც შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოხდება. სკოლა მზადაა შეიმუშაოს ვერიფიკაციის საერთო სასკოლო მექანიზმი.
სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენების კურიკულუმები საშუალო საფეხური
- დანართი N65, N 52, N85, N 90 , N 98, N 7
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, საშუალო საფეხური
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სას უალო საფეხური
- კომპლექსური დავალება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც მდგომარეობს პედაგოგთა მიერ საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, საგნობრივ კათედრათა მჭიდრო კავშირსა და ცალკეულ საკითხებზე ერთობლივ მუშაობაში. პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საჭიროების შემთხვევაში ურთიერთდახმარებისთვის მზადყოფნა სასკოლო ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამ ნარატივს ადასტურებს ურთიერთდასწრების ანგარიშები.

საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში, წახალისებულია მასწავლებლების თუ მოსწავლეების მოქმედების თავისუფლება, ჩართულობა და სკოლის განვითარებაში მონაწილეობა. პედაგოგებმა არაერთი პროექტი განახორციელეს, სადაც ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, გამოიკვეთა მათი თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარები.

ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის აღნიშნული გარემოს შექმნას, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორები, სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საგნების სწავლების პროცესში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებზე. წახალისებულია მოსწავლეთა იდეები და მხარდაჭერილია მათი განხორციელება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პროექტებში ყველა მოსწავლე ერთვება ხალისით და ინტერესით.

უცხოური ენების მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც ამის დასტურია. ინტერვიუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ ყველა მოსწავლეს ეძლევა საშუალება ჩაერთოს სასწავლო პროცესში თავისი შესაძლებლობის მიხედვით და მოახდინოს თვითრეალიზაცია.

ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს და, რომ მოსწავლეთა მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს, სკოლის ადმინისტრაციას, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობარის" ინსტიტუტი. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს თანამშრომლობაზე დაფუძნებით უზიარებენ გამოცდილებასა და რჩევებს. მშობლებს, სამეურვეო საბჭოს წევრებს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას სკოლის სასწავლო პროცესში გამოყენებული მექანიზმების შესახებ; მშობლებს აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და მომავალშიც სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო, საგაკვეთილო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა მხრიდან გამოთქმული ყველა იდეა და მოსაზრება, ისინი იზიარებენ პასუხისმგებლობას დავალებების განხორციელების პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ,,აღმზრდელობითი პოლიტიკა" და „სასკოლო კათედრების ფუნქციები"- რომლებიც მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა N3
- დანართები N 7, 58, 54, 94, 90 , 31
- *https://www.facebook.com/groups/536309181328655*.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია მომდევნო სასწავლო წლიდან, სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, განხორციელდება გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი უკუკავშირი, დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი გაკეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე, სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოვლენასა და გასწორებაზე, სკოლა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს ინსტრუმენტს .ამ ეტაპზე კი როგორც ინტერვიუზე, ისე სკოლის თვითშეფასების განაცხადზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ სკოლის მზაობა იმისთვის, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება გახდეს სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე მასწავლებლები 2023-2024 სასწავლო წლიდან გეგმავენ ურთიერთდასწრებებს, რეფლექსიებს და მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელის ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას.
სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების შედეგებიდან ჩანს, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების რეფლექსია . აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებიც ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს კათედრები და დირექცია. კათედრის წევრებთან განხორციელებული შეხვედრის შემდეგ ცხადი გახდა მათი მზაობა პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მიხედვით განახორციელონ შემდგომ კურიკულუმი ცვლილება პრობლემების აღმოსაფხვრელად.

მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები განსაზღვრავენ პრობლემის გადაჭრის გზებს. კათედრის წევრები გეგმავენ, რომ მონიტორინგის და შეფასების, შედეგების ანალიზის საფუძველზე მიიღებენ გადაწყვეტილებას და გადაამუშავებენ კომპლექსურ დავალებებს, კომპლექსურის პირობას და ა. შ.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით 2023-24 სასწავლო წელს ამოქმედდება შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავდება სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს მიეცემათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3*
- *დანართი N7*
- *დანართი N100*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა ეყრდნობა სხავადასხვა ტიპის წყაროებს წყაროებს. მაგალითად, უცხოური ენების მიმართულებით, მასალებით და ინტერვიუს შედეგებით ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. უცხო ენების კათედრის წევრები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აღნიშნული პროცესის შესაფასებლად კათედრის წევრების მიერ ერთობლივად შემუშავებულია მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები
საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე აძლევენ უკუკავშირს და მითითებას, რაც მოსწავლეს ეხმარებოდა განვითარებაში. თუმცა შეფასების წყაროები ნამდვილად არ არის მრავალფეროვანი. სასწავლო პროცესის შეფასების განვითარების მიზნით, მასწავლებლები მუშაობენ ურთიერთდასწრების ინსტრუმენტის შემუშავებაზე. აქვთ კომპლექსური დავალებების ანალიზის მცირე გამოცდილება, ასევე კათედრა მუშაობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკების დახვეწაზე.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, თითოეული მოსწავლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოპოვების გზით, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, სამიზნე ცნებების განვითარებაზე ორიენტირებით.
სკოლაში საშუალო საფეხურზე იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენება, სამიზნე ცნებების იერარქიასა და მასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის და პედაგოგებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე პედაგოგები გეგმავენ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის 2023-2024 სასწავლო წლისათვის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას მონაცემთა შესაგროვებლად, როგორიცაა მოსწავლეებისგან უკუკავშირი, ურთიერთშეფასება, მინიტორინგის და ანალიზის ჯგუფის შეფასება და ა. შ. აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მაგალითად, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა შეფასების მიზნით შეაგროვოს, მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. საშუალო საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერვიუშიც, პედაგოგებმა , გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასების პროცესში ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს. უცხო ენების კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ სწავლა -სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფილის შემუშავებას და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. მასწავლებლები აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ, ერთობლივად შემუშავებული მიდგომების გამოყენებით შეფასება განხორციელდება 2023-2024 სასწავლო წელს.
ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია შეფასების ნიმუში-განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხებზე) იკითხება, რომ კათედრაზე მიმდინარეობს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარება, ინერგება შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა.
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა N 3*
- *დანართი N 7, N 78, N 3*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.2.2. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლაში მუშავდება მექანიზმები კურიკულუმის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის უზრუნველსაყოფად. მონაცემების ინფორმაციის შეჯერების, დამუშავებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით სკოლა შექმნის სამუშაო ჯგუფს, მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
მაგალითად, სკოლის უცხო ენების კათედრის წევრები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე, დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილებას გამოიყენებენ ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში,
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის 2023-24 სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წლის საშუალო საფეხურის გადამუშავებული საგნობრივი კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.
მაგალითად, როგორც უცხოური ენის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ, ახალი კურიკულუმის შედგენისას შეირჩა ისეთი კომპლექსურები, რომელთა შესრულება, განხორციელება შეძლეს მოსწავლეებმა და ხალისით ჩაერთნენ განხორციელების პროცესში. პროცესის მონიტორინგის და შეფასებისთვის სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში შექმნას პროცესის შეფასების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც დააკვირდება კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესს, გაწერს პროცესის შეფასებას, რეკომენდაციებს.
საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აღნიშნავენ რომ კურიკულუმის გადამუშავების დროს იყენებენ გამოცდილებას, ურთიერთგაზიარებით მიღებულ კომენტარებს, მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. ამჟამად კათედრის წევრები მუშაობენ მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაზე, რომელსაც გამოიყენებენ კურიკულუმის განვითარებისთვის
ყველა საგანთან მიმართებაში ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება განაცხადი, გორელოვკა 3;*
- *დანართი N100*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....

თარიღი
24.10.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---